პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
19 ივნისი
№ 142 (18084)
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გაიხსნება დღეს, 19 ივნისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 19 ივნისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

18 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად", რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ბრიგადირი ამხ. ნ. ა. პეტრიაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. რ. პაპუნიძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ხარატი ამხ. ვ. მ. გონჩაროვი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" გენერალური დირექტორი ამხ. რ. ნ. თევზაძე, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ბ. მუსერიძე, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. კ. ი. ქაჯაია, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ა. ქოჩიანი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ბუჩუკური, საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" უფროსი ამხ. ე. ს. მალაზონია, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორი ს. ბ. ქადაგიძე, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ლ. მ. დათიაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ამხ. შ. ბ. ნიშნიანიძე, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ამხ. შ. მ. მახარაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ნ. ორჯონიკიძე, საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. ი. ბუნიაპა, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. დ. გულუა.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. მ. ნიკიფოროვი.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ინფორმაცია „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა და ამოცანები მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის შესახებ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესასრულებლად" და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. ნ. ვ. სანთელაძე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. ლ. ი. ხაბურზანია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

პლენუმმა მიიღო მიმართვა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის სპეციალისტების, საქართველოს ყველა მშრომელისადმი, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი, მშრომელებისადმი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!

ჩვენ, მონაწილენი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე თქვენი გამოსვლების შესაბამისად, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით უგულწრფელეს და უფულითადეს მადლობას მოგახსენებთ იმ უდიდესი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, დღენაადგ რომ იჩენთ ჩვენი რესპუბლიკის მიმართ, მისი პარტიული ორგანიზაციის, მთელი მშრომელი ხალხის საქმეებისა და მიღწევებისათვის.

საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო ზეიმზე თქვენი ყოფნა და გამოსვლები მთელმა რესპუბლიკამ აღიქვა როგორც უდიდესი მხარდაჭერა, უმაღლესი შეფასება იმ პოზიტიური პროცესებისა, რომელებსაც საფუძველი ჩაუყარა თქვენი ინიციატივით მიღებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე. მისი იდეების, დებულებების, მოთხოვნების ნათლით იყო გაცისკროვნებული 70-იან წლებში ჩვენ მიერ განვლილი მთელი გზა, მისი შესრულებისათვის ბრძოლაშია მიღწეული ყველა ჩვენი წარმატება.

ამავე წლებში მიღებული იყო პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი ფუნდამენტური დადგენილებანი ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე, რომლებმაც გადამწყვეტი დახმარება გაგვიწიეს მისი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. საქართველოს კომპარტიის იმტორიას არ ახსოვს სხვა ისეთი პერიოდი, როცა მისდამი ყოველდღიური ყურადღება და ზრუნვა ესოდენ ინტენსიური და ნაყოფიერი ყოფილიყოს.

პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ნამდვილად ლენინური ზრუნვის გვინგვანი გახდა ჩვენთვის თქვენივე ინიციატივით მიღებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება „საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ", რომელიც ასევე თქვენი ინიციატივით იქნა მიღებული.

ჩვენთვის ამ ისტორიული გადაწყვეტილებით, თბილისში გამართულ ზეიმზე თქვენი გამოსვლებით, რომლებმაც არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკაში, გაცისკროვნებულია 80-იანი წლების მთელ პერიოდში ჩვენი შემდგომი წინსვლის გზები, დასახულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული პროგრამა.

როგორც თქვენ აღნიშნეთ, ჩვენი იუბილეს დღეები განმსჭვალული იყო ხალხთა მეგობრობის, კარგი შრომითი აღმავლობის სულისკვეთებით, ნაღვაწისათვის სიამაყით და დიდი სამერმისო გეგმებით. მოგახსენებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, რომ ეს სულისკვეთება, ეს აღმავლობა დღესაც სუფევს რესპუბლიკაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში მოდის მშრომელთა ათასობით წერილი, რომლებშიც უდიდეს მადლობას უხდიან პარტიას, მის ცენტრალურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, ადამიანის კეთილდღეობაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის და პირობას დებენ, რომ ამას კიდევ უფრო დიდი მიღწევებით, შეუპოვარი, თავდადებული შრომით უპასუხებენ.

თბილისში თქვენს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებების, რჩევა-დარიგებების, რეკომენდაციების შესაბამისად რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს რეზერვების ძიება, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, ყველგან მიმდინარეობს თქვენ მითითებათა განხორციელების ოპტიმალური გზების ძებნაბული, შემოქმედებითი ძიება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის მშრომელებმა უკვე შემოიტანეს რამდენიმე ათასი კონკრეტული წინადადება.

და დღეს ჩვენმა პლენუმმა, რომელმაც ღრმად გააანალიზა თქვენ მიერ დასახული ამოცანები, განსაზღვრა მათი გადაწყვეტის უმთავრესი და პერსპექტიული გზები, დაამტკიცა მათი განხორციელების ღონისძიებათა შესაბამისი გეგმა. პლენუმმა ნათლად ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა მისწრაფება — რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ საერთო საკავშირო ყულაბაში, მაქსიმალურად გამოიყენონ საერთო-სახალხო საქმის სამსახურში ხალხთა საქართველოს მდიდარი პოტენციალი.

ნუება გვიბოძეთ, მოგახსენოთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ თავისი მეშვიდე ათწლეული დაიწყო ძალ-ღონითა და ენერგიით აღსავსემ, მზად არის წარმატებით განახორციელოს, კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებად აქციოს თქვენ მიერ გამოთქმული სურვილი ვიმოქმედოთ უფრო თამამად, ვიმუშაოთ უფრო შეუპოვრად, კვლავაც ავამაღლოთ ხალხთა საქართველოს ავტორიტეტი. რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ იმას, რომ შრომაში, ხალხთა შეკავშირებისა და მეგობრობის განმტკიცებაში მოპოვებული ახალი სახელოვანი გამარჯვებებით ღირსეული წვლილი შემატონ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე

საბჭოთა ორდენი რ. ჩანდრას

სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 18 ივნისს კრემლში ლენინის ორდენი გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს რომეშ ჩანდრას, რომელსაც საბჭოთა ჯილდო მიენიჭა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის.

ორდენის გადაცემის დროს გამოვიდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა გულითადად ვუოლიცავ ჩვენს საერთო ძვირფას მეგობარს რომეშ ჩანდრას ლენინის ორდენით დაჯილდოებას. ამით პატივს მივაგებთ მშვიდობის იდეალებისადმი მის სამსახურს, მის თავდადებას მილიტარიზმისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რომელიღაც ისტორიკოსს მწარე ფრაზა წამოსცდენია: კაცობრიობის ისტორია ომების ისტორიაა. მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ წარსულს, წარმოგვიდგება საშინელი გაუთავებელი სისხლისმღვრელი შეტაკებების სურათი. XX საუკუნემ ამ მხრივ ყველა რეკორდს გადააჭარბა: ორი მსოფლიო ომი, მრავალი ეგრეთ წოდებული ლოკალური კონფლიქტი სახელმწიფოთა შორის. განა საკმარისი არ არის? ეს კითხვა მით უმეტეს უპრიანია ახლა, როცა დაგროვებულია იარაღი, რომელსაც შეუძლია მოსპოს ყოველივე ცოცხალი.

უდავოა, ყოველი ხალხი საარსებოდ არის დაინტერესებული, რომ მშვიდობიანად ცხოვრობდეს მეზობლებთან და მათთან ერთად უფრთხილდებოდეს და აღამაზებდეს კაცობრიობის საერთო სახლს — პლანეტა დედამიწას.

მაგრამ საგნებს რეალისტურად უნდა ვუყურებდეთ. ნდობისა და სიამტკბილობის გზაზე ხშირად ჯერ კიდევ ისეთი დაბრკოლებანია აღმართული, როგორიც არის სიხარბე და შოვინიზმი, შიში და სიძულვილი. ადამიანებს სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებანი აქვთ. ერთნაირი არ არის ცალკეული ქვეყნების ისტორიული ტრადიციები. დღესაც არის კლასობრივი შუღლიც და ბევრი სხვა წინააღმდეგობაც. სწორედ იმიტომ არის, რომ ესოდენ საჭიროა სადავო საკითხებზე მოლაპარაკებაც, ყველა ომის საწინააღმდეგო მმდინარეობათა თანამოქმედებაც, მშვიდობის საკეთილდღეო საერთო მეცადინეობაში ყველა ადამიანის ჩაბმაც, თუნდაც განსხვავებული შეხედულებანი და მრწამსი ჰქონდეთ.

ამიტომ არ შეიძლება არ ვაფასებდეთ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კეთილშობილურ საქმიანობას. ეს არის იმათი ხმა, ვინც გულგრილი არ არის, ვინც გამბედავია, ვინც დევნისა და მუქარის მიუხედავად გონებისა და სინდისისათვის მოუწოდებს ყველას.

გონება, სინდისი, მომავლის რწმენა — აი იარაღი, რომელიც მშვიდობის მომხრეთ უპყრიათ ხელთ და რომელსაც მოკლებული არიან გამალებული შეიარაღებისა და კონფრონტაციის მომხრენი. და მე დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობის იდეების ზემოქმედება სამთავრობო და საპარლამენტო წრეებზე კვლავაც გაიზრდება, რომ ხალხთა მეცადინეობა ბოლოს და ბოლოს გაფანტავს ომის საავდრო ღრუბელს.

ჩვენი აზრით, მტკიცე მშვიდობა აუცილებლად უნდა იყოს

(დასასრული მე-5 გვ.)

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საპატიო ჯილდოების გადაცემა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მეათე ხუთწლედის შედეგების მიხედვით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა საქართველოს სსრ იმ მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული პროგრამის შესრულებაში. დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

ლენინის ორდენებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, ხალხთა მეგობრობის ორდენი მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ნ. ენუქიძეს. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი დაჯილდოდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. ხალხთა მეგობრობის ორდენებით დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობის სხვა ამხანაგები წინათ დაჯილდოვდნენ ხუთწლედის სხვადასხვა წლების შედეგების მიხედვით.

18 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ დაჯილდოებულთ სამშობლოს მაღალი ჯილდოები გადასცა. ე. შევარდნაძემ მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა შემდგომი წარმატებანი დიდსა და პასუხსაგებ მუშაობაში, და თქვა:

სამშობლოს ჯილდოები მოწმობს, თუ როგორ მაღალი შეფასება მიეცა რესპუბლიკის კომპარტიის. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევლის, რომლის გარჯის მეოხებითაც შევძელით მნიშვნელოვანწილად ახალ საფეხურზე აგვეყვანა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა.

თბილისში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამოსვლისას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მიღწევები მარტოდენ მისი ასიათასობით მშრომელის შეუპოვარი მუშაობის შედეგი კი არა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს ორგანიზატორული და პოლიტიკური მოღვაწეობის ნაყოფიც არის. ასეთი შეფასება არ შეიძლება არ იწვევდეს დიდ სიხარულსა და ულრმეს კმაყოფილებას.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ამხანაგები გ. ვ. კოლბინი და გ. ნ. ენუქიძე, რომლებმაც დიდი მადლობა მოახსენეს პარტიას მთი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც არ დაზოგავენ ძალ-ღონესა და ენერგიას პარტიისა და ხალხის საქმის სამსახურში.

ჯილდოების გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, ა. ნ. ინაური, ო. ო. კულიშევი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, სკკპ-ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. მ. ნიკიფოროვი.

(საქინფორმი).

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე 1981 წლის 18 ივნისს

ამხანაგებო!

სანამ ცენტრალური კომიტეტის მოხსენების კითხვას შევუდგებოდე, ნება მიბოძეთ, ვთქვა: **ჩვენ, სასწაულებრივ ხანაში ვცხოვრობთ, ბედშარიდად ღირსშესანიშნავი დღეები გვიდგას, და თვით ჩვენი კლენთვიც მთლად ჩვეულებრივი არ არის, თუ გნებავთ, იგი საუბაკია.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი საეტაპოა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი, არსებითად, ჩვენი პირველი ასეთი ყოვლისმომცველი პლენუმია პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ.

მეორე, ჩვენი პლენუმი საეტაპოა იმიტომ, რომ იგი შეიკრიბა ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავი აღინიშნა, და ჩვენს საიუბილეო დღესასწაულობაში მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მესამე, ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი საეტაპოა იმიტომ, რომ იგი განიხილავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებიდან თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე.

და ბოლოს, მეოთხე, ყველა საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ ჩვენი დღევანდელი პლენუმი საეტაპოდ, ვინაიდან სწორედ ამ დღეებში მოხდა კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს პარტორგანიზაციის ცხოვრებაში, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება ჩვენი რესპუბლიკის გამო, — „საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ".

მოსკოვში პარტიის XXVI ყრილობაზე, და აქაც, თბილისში, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ითქვა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ ჩვენი რესპუბლიკის საქმეებსა და საჭიროებებს, რომ განვლილი წლების მანძილზე მიღებულია ხუთი ფუნდამენტური დადგენილება ეკონომიკის, კულტურის, პარტიული მუშაობის საკითხებზე, იმ ცნობილი დადგენილებით დაწყებული, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რომ მიიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ითქვა, რომ საქართველოს კომპარტიის ისტორიას არ ახსოვს სხვა ასეთი პერიოდი, როცა რესპუბლიკისადმი ესოდენ ინტენსიურ მზრუნველობას და ყოველდღიურ ყურადღებას იჩენდნენ.

საზეიმო სხდომიდან ორი დღის შემდეგ, ამა წლის 24 მაისს საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„რესპუბლიკის პარტორგანიზაცია აქტიურად, რეალური საქმეებით გამოეხმაურა ამ გადაწყვეტილებებს. სკკპ XXVI ყრილობასა და საზეიმო სხდომაზე ვთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვნად მოუმატა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპს. საჭიროა კვლავაც ვადევნოთ თვალი იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ჯეროვნად სრულდებოდეს რესპუბლიკაშიც და ცენტრშიც. გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს უნდა ვუფრთხილდებოდეთ".

გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს უნდა ვუფრთხილდებოდეთ! — ბრძანა ლეონიდ ილიას ძემ თბილისში, და სულ რამდენიმე დღეში სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც შეამოწმა, თუ როგორ სრულდება ყველა წინანდელი გადაწყვეტილება საქართველოს პარტორგანიზაციის, ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, იღებს კიდევ ერთ, მეექვსე უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტს.

აი, სწორედ ეს გახლავთ **სიტყვისა და საქმის ლენინური ერთიანობა! აი, სწორედ ეს გახლავთ მუშაობის ლენინური სტილი, როცა სიტყვას საქმე მოსდევს!**

ასე ისახამს ხორცს ლეონიდ ილიას ძის მიერ თბილისში ყოფნისას დასახული ამოცანები რეალურ, პრაქტიკულ საქმეებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამ ახალი დადგენილების შესახებ ჩვენ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ უფრო დაწვრილებით. ახლა კი მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ორგანული კავშირი, რომელიც ამ დადგენილებას და ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თბილისში გამოსვლებს აერთიანებს.

დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ლეონიდ ილიას ძის სამ გამოსვლაზე — საზეიმო სხდომის, იუბილესადმი მიძღვნილი დარბაზობის და რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან გამართული საუბრის დროს, — ვინაიდან ეს სამივე გამოსვლა ასევე დიალექტიკურად უკავშირდება ერთმანეთს: ერთი გამომდინარეობს მეორისაგან, ერთი ავსებს მეორეს და ყველა ერთად ერთ მთლიანს შეადგენს. ისინი წარმოადგენენ **საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ვრცელ პროგრამას, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებისა და ბრძოლის კონკრეტულ პროგრამას 80-იანი წლებისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის.**

ამ სამთავე უაღრესად ლაკონიურ და ტევად, ლენინურად ბრძნულ დოკუმენტში იმდენი ღრმა აზრი, იმდენი უმნიშვნელოვანესი დებულება და დასკვნაა მოცემული, რომ ჩვენ ყველას, ალბათ, საკმაო დრო დაგჭირდება, რათა ყოველივე ეს მთლიანად გავიაზროთ და აღვიქვათ.

თუმცა, დრო გვჭირდება იმისათვის, რომ ხელახლა გავიაზროთ ყოველივე ის, რაც მოხდა აქამდეც, ჩვენი ცხოვრების მთელი უკანასკნელი პერიოდის მანძილზე; — გავიაზროთ ის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებითაც რესპუბლიკის შრომითი სადგი დღეები აღინიშნა. მათ შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. მაგრამ, ალბა, როგორ გინდა არ დაუბრუნდე მათ კვლავ და კვლავ, როცა ესოდენ ღრმა კვალი დატოვეს ყოველი ჩვენგანის გულსა და მეხსიერებაში?!

ჩვენთვის ყველაფერი ძვირფასია ამაღელვებელ მოვლენათა ამ ჭეშმარიტად დაუოკებელ სრბოლაში. ჩვენთვის ძვირფასია ისიც, რომ რესპუბლიკას, რომელმაც ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალებანი ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, მხურვალედ და გულითადად მიულოცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, და იგი ზედიზედ მერვედ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით. ისიც, რომ სკკპ XXVI ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძემ ასეთი მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიას, ისიც, რომ ყრილობის მუშაობის დღეებში ჩვენი მუშაკების დიდ ჯგუფს მთავრობის მაღალი ჯილდოები მიენიჭა, რაც ასე მხურვალედ და გულითადად მოგვილოცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თვით ყრილობაზე, და ამ მოლოცვებში იგრძნობოდა უაღრესად გულითადი ადამიანის დიდი სულიერი სითბო.

ყველა ეს ამაღელვებელი მოვლენა მძივივით აესხა ერთმანეთს, როგორც ერთიანი ჯაჭვის რგოლები. მა-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

თი კულმინაცია კი გახდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლა თბილისში, მისი გამოსვლები საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით. რესპუბლიკის პარტორგანიზაციისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის ეს იყო ყოველთა ჯილდოთა ჯილდო, ყოველთა შეფასებათა შეფასება, ყველა ჩვენგანისათვის ეს გახდა ჭეშმარიტად დაოვიწყარი მოვლენა.

ჩვენ ყველანი უდიდეს კმაყოფილებას განვიცდით იმის გამო, რომ ასე ბრწყინვალედ ჩაიარა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის დღესასწაულმა, მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დღესასწაულმა.

ყველაზე უკეთ დაახასიათა იგი თავად ლეონიდ ილიას ძემ:

— დღესასწაული მშვენიერი გაქვთ, — თქვა მან, თქვენს იუბილეს ღირსეულად აღნიშნავთ...

— ყოველ ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შესანიშნავმა სადღესასწაულო დღეებმა... დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა.

ასეთი შეფასება ყოველ ჩვენგანს სრულიად სამართლიანად ეამაყება და ეამება. ხაზს ვუსვამ —ყოველ ჩვენგანს! იმიტომ, რომ თბილისში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, არ ყოფილან გულგრილნი, რომლებიც არას დაგიდევდნენ. ადამიანებს ვერ დაჰყოფდი დღესასწაულის ორგანიზატორებად და დღესასწაულის მონაწილეებად. ყველანი მონაწილნი იყვნენ დღესასწაულისა, და თითოეული გრძნობდა თავს მის ორგანიზატორად და თითოეულს ანიჭებდა უდიდეს მორალურ კმაყოფილებას საქართველოს პარტორგანიზაციის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაში თავისი პირადი პასუხისმგებლობის, პირადი წილნაყარობის შეგნება.

ჩვენ ვიცით, რომ ნებისმიერი საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ. ადამიანებმა გადაწყვიტეს საიუბილეო ზეიმის წარმატებაც. და, ჩანს, წარმატების საიდუმლო ის იყო, რომ ადამიანები დღესასწაულს მიუდგნენ, როგორც ძალზე სერიოზულ საქმეს, როგორც ნამდვილ, დიდ პოლიტიკურ სამუშაოს.

I.

ახლა, როცა იმ დღეების მოვლენებს აანალიზებ, როცა უფიქრდები, როგორ იყო ორგანიზებული თითოეული ღონისძიება, როცა იხსენებ, თუ რა მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო სუფევდა რესპუბლიკაში მთელი იმ დროის მანძილზე, კიდევ და კიდევ მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს იყო შედეგი **დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა**, რომელსაც უკანასკნელ ხანს ეწევა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

სწორედ რესპუბლიკის 60 წლის იუბილეში ფოკუსივით გამოჩნდა მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ცნობილია, მაგალითად, რომ პარტიული ხელმძღვანელობის საკვანძო რგოლია კადრები. და სწორედ ჩვენმა კადრებმა, ჩვენმა ადამიანებმა, ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა მუშაკებმა, საქმიანობის ყველა დარგისა და ყველა სფეროს მუშაკებმა —ჩვენი გმირი მუშათა კლასის, ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი შესანიშნავი სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს დღესასწაულის ჩატარება ესოდენ მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, ჩაიქსოვეს ამ დიდ პატრიოტულ, ეროვნულ და ინტერნაციონალურ საქმეს არა მარტო თავიანთი უდიდესი გარჯა, არამედ მთელი თავიანთი სულიცა და გულიც.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლსა და შემოწმებას, რომელიც პარტიული ხელმძღვანელობის განუყოფელი ნაწილია. პირდაპირ ვთქვათ: ყოველდღიური კონტროლი და ყველა იმ გადაწყვეტილების უმკაცრესი შემოწმება რომ არა, რომლებიც საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის მზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით იქნა მიღებული, ალბათ, ვერც შევძლებდით უზრუნველგვეყო ესოდენ წარმატებით და დროულად ყველა დასახული საშუშაო, მთელი განზრახული ღონისძიებანი.

ჩვენ ვამბობთ, რომ მუშაობის ლენინური სტილი პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა. და ყველაფერში, რაც კი დღესასწაულთან იყო დაკავშირებული, პირდაპირ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნებისმიერ უბანზე, ყოველ საქმეში ცხადად გამოსჭვიოდა ამ სტილის ნიშან-თვისებები: კოლექტიურობა და მასობრიობა, კოლეგიური ხელმძღვანელობა და ადამიანთა პერსონალური პასუხისმგებლობა, კომუნისტების აქტიურობა და მშრომელთა ფართო მასების ინიციატივა, მომთხოვნელობა და თვითკრიტიკული მიდგომა იმისადმი, რაც უკვე გაკეთდა, მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, უფართოესი დემოკრატიული საწყისები მუშაობაში და პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვა.

ყველამ, ვინც ამ მუშაობას უძღვებოდა, მასში კი ასობით და ათასობით ადამიანი იყო ჩაბმული, გამოიჩინა შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი, კომპეტენტურობა და კონკრეტულობა მუშაობაში, ნიჭი და უნარი დამოუკიდებლად, ზემოდან მიუთითებლად გადაეწყვიტათ ზოგჯერ ძალზე რთული საკითხები. მხოლოდ ამ პირობით თუ შესრულებოდა ესოდენ დიდი მოცულობისა და ესოდენ მრავალმხრივი ხასიათის სამუშაო.

დღეს შეგვიძლია უდიდესი კმაყოფილებით ვთქვათ, რომ ჩვენმა კადრებმა საუკეთესო საქმიანი და პოლიტიკური თვისებები გამოიჩინეს, პირნათლად გაუძღვეს სერიოზულ გამოცდას და დიდი სიძნელენიც დაძლიეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების ამ ფრიად პასუხსაგებ პერიოდში პოვა თავისი განზოგადება პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილებამაც. ეტყობა, სწორედ ამას გულისხმობდა ლეონიდ ილიას ძე, როცა თქვა, რომ **ჩვენი საიუბილეო ზეიმი განმსჭვალულია ხალხთა მეგობრობის, კარგი შრომითი აღმავლობის სულისკვეთებით, ნაღვაწისათვის სიამაყითა და დიდი სამერმინო გეგმებით.**

ეს მეგობრობის სულისკვეთება მთელი იმ იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის უშუალო, კონკრეტული შედეგია, რომელსაც ასე თანამიმდევრულად ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები. ეს გახლავთ მშრომელთა აღზრდის, ადამიანთა შეგნებაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების, საბჭოეთისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის სიამაყის დამკვიდრების შედეგი.

ლეონიდ ილიას ძემ გამოჰყო **ჩვენი დღესასწაულის ერთი ნიშან-თვისება — მისი მრავალეროვნული ხასიათი**, და დასძინა, რომ **ჩვენი იუბილე გახდა კიდევ ერთი დემონსტრაცია იმისა, თუ რაოდენ შედეგიანებულნი არიან საბჭოთა ხალხები, რაოდენ ერთიანია ჩვენი აზრები, საქმენი და ოცნებანი.** მან აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველოში სუფევს ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო, რომ ქართველები და რუსები, აფხაზები და ოსები, უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და ებრაელები, სამოცდაათზე მეტი ეროვნების შრომელები ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

— თქვენი რესპუბლიკის გამოცდილება, —თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია იმისა, რომ ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა სწორია.

ასეთივე სულისკვეთებით — ინტერნაციონალიზმის, მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით, მაღალი პოლიტიკური და ზნეობრივი აღმავლობის ასეთივე ატმოსფეროთი იყო გაწმსჭვალული საიუბილეო ზეიმი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ეს კარგი შრომითი აღმავლობა, ნაღვაწისათვის სიამაყე ასევე შედეგია იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის, ორგანული შერწყმისა, ნაყოფია მთელი აღზრდის საქმის დაყენებისადმი კომპლექსური მიდგომისა.

ნაღვაწისათვის სიამაყეთ განიმსჭვალა მთელი რესპუბლიკა, რომელმაც სკკპ XXVI ყრილობა შესანიშნავი შრომითი წარმატებებით, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპის მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებით აღნიშნა, რისთვისაც ყრილობაზევე მიიღო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ძალზე მაღალი შეფასება. ხოლო თბილისში ვამართულ ზეიმზე ლეონიდ ილიას ძემ კიდევ ერთხელ თქვა, რომ მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ ვადამდე შევასრულეთ, ამასთან დასძინა, ეს კარგი მიღწევებია და მთლიანად რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ იზრდებაო. ათ წელიწადში მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთნახევარჯერ გაიზარდა.

იმ კარგ შრომითს აღმავლობას, რომლითაც რესპუბლიკა შეხვდა თავის იუბილეს, მოწმობს აგრეთვე ჩვენი სახალხო მეურნეობის გასული ხუთი თვის მუშაობის შედეგები. ახლახან ეს შედეგები განვიხილეთ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე. ამიტომ მათ დღეს დაწვრილებით აღარ შევეხები.

ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველომ ახალ, მეთერთმეტე ხუთწლედში ნამდვილად მტკიცე სტარტი აიღო. მრეწველობის მთელიანი პროდუქციის მოცულობის გეგმა შესრულებულია 102,3 პროცენტით, რეალიზაციისა — 103 პროცენტით. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 80 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია — თითქმის 95 მილიონი მანეთისა. შარშანდელ დონეს უსწრებს მეცხოველეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა. ხუთ თვეში რეალიზებულია ვალდებულებებით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი სასურსათო და სამრეწველო საქონელი, გადაჭარბებით შესრულდა მოსახლეობის მომსახურების გეგმა.

და ეს მხოლოდ ადასტურებს ლეონიდ ილიას ძის სიტყვებს: დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა არა მარტო იმიტომ, რომ საქართველოში იცინან, როგორ უმასპინძლონ სტუმრებს, არამედ იმიტომაც, რომ ნამდვილი სადღესასწაულო განწყობილება მაშინ ეუფლება კაცს, როცა საქმე კარგად მიუდის.

საქმე კარგად მიგვიდის!

საქართველოში კარგად მიდის საქმე!

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სწორედ ეს სიტყვები განაწყობენ საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს მეთერთმეტე ხუთწლედში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

— თქვენი მიღწევები, —თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა,— რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელთა თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია. ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიური.

და ისევე, როგორც რესპუბლიკის იუბილეს მომზადებისა და ჩატარების პერიოდში, ფოკუსივით გამოჩნდა მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მთელი ამ დროის მანძილზე ასევე თვალსაჩინო გამოხატულება პოვა დებულებამ პარტიის ხელმძღვანელი როლის განუხრელი ზრდის შესახებ. თქმა არ უნდა, დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ პარტიული ორგანიზაციები ესოდენ დიდ როლს ასრულებდნენ ყველა დასახული ღონისძიების განხორციელებაში. სწორედ საერთო მეცადინეობის, საერთო ძალისხმევის მეოხებით ხვდა წარმატება დღესასწაულს ყოველ ქალაქსა და თითოეულ სოფელში, იგი სუფევდა თითოეულ სახლსა და ყოველ ოჯახში, ღრმად ჩასწვდა გულში ყოველ ადამიანს.

ჩვენს სტუმრებს ყველაზე სასიამოვნო მოგონებანი, ყველაზე კარგი შთაბეჭდილებანი გაჰყვებათ უაღრესად შინაარსიანი საუბრების, მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობის, იმ მზრუნველობის გამო, რომლებსაც არ ვაკლებდით მთელი ამ დღეების მანძილზე. და ამას მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს ჩვენმა პარტიულმა კომიტეტებმა, მათმა მდივნებმა, ბიუროს წევრებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მთელმა პარტიულმა აქტივმა. ბევრი კეთილი სიტყვა შეიძლება ითქვას რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელებისა და აპარატის, ჩვენი მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების, ჩვენი შემოქმედებითი კავშირების, და განსაკუთრებით ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის შესახებ. დელეგაციათა მიღების უზრუნველსაყოფად, და საერთოდ ამ შესანიშნავი დღესასწაულის დღეებში დიდი მუშაობა გასწიეს დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ, ცალკეულმა შრომითმა კოლექტივებმა, თბილისის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა.

ვაჯამებთ რა ნათქვამს, შეგვიძლია უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ საბჭოთა საქართველოს იუბილეს ორგანიზაცია და მოწყობა გახდა **აღზრდის შესანიშნავი სკოლა.** ამასთანავე **თვით დღესასწაული აღმზრდელობითი ფუნქციების მატარებელიც იყო.** დღესასწაულის სწორედ ეს საქმიანი მხარე გახლავთ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მას განსაკუთრებული როლი ეკისრება. და სწორედ ეს საქმიანი ხასიათი —ჩვენი ზეიმის განმასხვავებელი ნიშნი აღნიშნა ლეონიდ ილიას ძემ, როცა ბრძანა, რომ **იუბილემ საუცხოოდ ჩაიარა: აღმავლობით და საქმიანად.**

ახლა ამოცანა ის არის, რომ საქმე კვლავაც კარგად მიგვიდიოდეს, კიდევ უფრო მეტ წარმატებას ვაწყვდეთ. ამისათვის კი საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ, განვზოგადოთ მთელი ამ დროის მანძილზე შეძენილი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება, მიეცეთ სტიმული ყოველივე პოზიტიურს, დავამკვიდროთ ყოველივე დადებითი, ყურადღება დავუთმოთ გამოვლენილ ნაკლოვანებებს, რათა შემდგომში აღარ გავიმეოროთ ისინი, გამოვიტანოთ ამ გამოცდილებიდან შესაბამისი სამერმისო დასკვნები.

მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა დავამკვიდროთ ის მაღალი შრომითი და პოლიტიკური განწყობილება, რომელიც ახლა სუფევს რესპუბლიკაში საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის დღესასწაულობის, თბილისში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლისა და გამართულ ზეიმზე მისი გამოსვლების გამო.

ჩვენ რესპუბლიკის პარტორგანიზაციის უპირველეს, გადაუდებელ საქმედ მიგვიჩნია წარვმართოთ მთელი მისი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ისე, რომ **ამთავითვე მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, უზრუნველვყოთ ასიათასობით ადამიანის ერთობლივი შეხმატკბილებული მუშაობა,** დავრაზმოთ ისინი, რათა ვადამდე გაანაღდონ მეთერთმეტე ხუთწლედის, უწინარეს ყოვლისა, მისი პირველი წლის დავალებები.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისში გამართულ ზეიმზე ლეონიდ ილიას ძის გამოსვლები შეიცავდა არა მარტო ყოველივე იმის მაღალ შეფასებას, რაც ჩვენში უკვე გაკეთებული და მიღწეულია უკანასკნელ წლებში, არამედ მკაცრ და ამასთანავე სავსებით სამართლიან კრიტიკასაც ჩვენი მისამართით.

მოპოვებული წარმატებანი სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებანი. როგორც ითქვა, სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც საკმარისად გვაქვს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელიც ვ. ი. ლენინის ანდერძს იცავს და ლენინურად მოქმედებს, იუბილეს დღეებშიც კი ჩვენი ყურადღება მიაპყრო გადასაწყვეტ ამოცანებს. თანაც, როგორც უკვე ვთქვით, მისთვის დამახასიათებელი უფაქიზესი ტაქტისა და უაღრესი დელიკატურობის გამო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღარ ილაპარაკა უფრო მკაცრად და უფრო მომთხოვნელად ბევრ ჩვენს სხვა სერიოზულ ნაკლოვანებაზე, თუმცა საამისო საფუძველი იყო.

მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, ხომ თავადაც კარგად ვიცით ეს ნაკლოვანებანი და მათ გვერდს ვერ ავუვლით, მათი მიფუჩეჩება არ იქნება. ჩვენ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქმის არსს და **ყველაფერი ვიღონოთ, რათა დავძლიოთ ეს ნაკლოვანებანი ეკონომიკაშიც, სახალხო მეურნეობის მართვაშიც და შინაგანი რეზერვების გამოყენებაშიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.**

დღეს, ამხანაგებო, შევუდექით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ დასახული დიდი სამუშაო პროგრამის ხორცშესხმას, რომელიც უახლოესი წლებისა და უფრო შორეული მომავლისათვის არის გათვალისწინებული. საჭიროა შევიმუშაოთ სრულიად კონკრეტული, პრაქტიკული ღონისძიებანი, **რათა განვახორციელოთ ყოველი დებულება, თითოეული დასკვნა, ყველა ის ამოცანა, ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა რომ დასახა, რათა შევასრულოთ ყველა მისი რჩევა, ყველა რეკომენდაცია.**

ასე რომ, **დღესასწაული—დღესასწაულად, საქმე კი საქმედ.** არადა, საქმე ბევრი გვაქვს ყველა დარგში, ყველა სფეროში: ეკონომიკის სფეროშიც, სამმართველო მუშაობის სფეროშიც, ორგანიზაციულ-პარტიული თუ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სფეროსა და ყველა სხვა დარგში. და ამ საქმის კეთებას სწორედ დღეს უნდა შევუდგეთ.

II.

პირველი ამოცანა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაგვისახა, ასეა ჩამოყალიბებული: **უახლოეს წლებში საქართველო უნდა დაწინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით.** და ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის რეალური გზა გაგვიკვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც დღეს მიიღო „საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი საქართველოს, ჩვენი პარტორგანიზაციის შესახებ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შესაბამის ამხანაგებს დაავალა მოემზადებინათ დადგენილება მოცემულ საკითხზე. და მოკლე დროში შემოწმდა, როგორ სრულდება აღნიშნული დადგენილებანი, მომზადდა ვრცელი მასალა — მოხსენებითი ბარათი, დადგენილების პროექტი, მისი დეტალურად და საგულდაგულოდ შეფუშავებული დამატებანი.

ამასთან დაკავშირებით ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის მომზადებისათვის უდიდესი მუშაობა გასწიეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა, ამხ. ვ. ი. დოლგიხმა, ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ა. კარლოვმა, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. მ. ნიკიფოროვმა, რომელიც მონაწილეობს ჩვენი პლენუმის მუშაობაში, ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყველა დარგობრივმა განყოფილებამ, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობამ, მთელმა რიგმა საკავშირო მინისტრებმა და სხვა ამხანაგებმა.

მინდა გაცნობოთ, რომ დოკუმენტზე მუშაობის დროს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა არაერთგზის გამოიკითხა, როგორ მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მომზადება.

უნდა აღვნიშნოთ ის მეტად აქტიური მუშაობა, რომელიც ამ დოკუმენტის მომზადებისათვის გასწიეს ჩვენმა ამხანაგებმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. დ. ლ. ქორთველიშვილმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. ა. ღუნდაკიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს მთელმა აპარატმა და სხვებმა.

და აი ეს დადგენილება მიღებულია. იგი იქიდან გამომდინარეობს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღებულია ხუთი ფუნდამენტური დადგენილება საქართველოს ეკონომიკის, კულტურის, პარტიული მუშაობის საკითხებზე, აგრეთვე 59 დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების შესახებ. ამ დოკუმენტების მიზანი უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ ძირეულად გაგვჯანსაღებინა ვითარება რესპუბლიკაში, განგვიმტკიცებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დავხმარებოდით მშრომელებს იმაში, რომ უფრო წარმატებით გადაეწყვიტათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის შემუშავებისას დამატებით განხილოს რესპუბლიკაში ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა გააძლიეროს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად, უფრო სრულად გამოიყენოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, ახალ სიმძლავრეთა ათვისების, ყველა საწარმოს რიტმული მუშაობის უზრუნველყოფის რეზერვები, უფრო აქტიურად გადაწყვიტოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანა.

როგორც ხედავთ, ჩვენ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება. პარტიული ორგანიზაციის წინაშე მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანები დგება. **ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს ამოცანები, და ჩვენ მათ უთუოდ გადავწყვეტთ!**

როცა საქმე ეხება იმას, რომ **საქართველო უნდა დაწინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით,** — უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება **სამრეწველო წარმოების** ეფექტიანობის ამაღლება, რისთვისაც რესპუბლიკაში დიდი რეზერვები გვაქვს.

როგორია ამ ამოცანის რეალიზაციის გზები? რა გვაძლევს ამ რეზერვებს?

ჯერ ერთი, მათ გვაძლევს ყველა საწარმოს რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა და თითოეული მათგანის მიერ გეგმის განხორციელი შესრულება. ჩვენში კი ზოგჯერ უხეშად ირღვევა საგეგმო დისციპლინა და სახელშეკრულებო ვალდებულებანი, არ დაგვიძლევია დავალებათა შესწორება-შემცირების მანკიერი პრაქტიკა. ამის შედეგად მეათე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკას თითქმის 500 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია დააკლდა.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველგვიყვია სათანადო რიტმულობა მუშაობაში. ქრონიკული არიტმულობა ახასიათებს მთელ რიგ საწარმოებს, ისეთ მოწინავე საწარმოსაც კი, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება და მრავალი სხვა.

მეორე, სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ მიკუყავართ შრომის ნაყოფიერების ზრდას. მისი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ მთლიანად მეათე ხუთწლედში ამ მაჩვენებლის დავალებანი არ შესრულებულა. მრეწველობის პროდუქციის მატებამ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე შეადგინა არა დაგეგმილი 85 პროცენტი, არამედ მხოლოდ 74,1 პროცენტი.

ამ მაჩვენებლის ზრდას აფერხებს ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის არასაკმაოდ ინტენსიური დანერგვა, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ნელი ტემპი, ხელის შრომის დიდი წილი, სამუშაო დროის დანაკარგები და კადრების დენადობა. ხუთი წლის მანძილზე სამუშაო დროის დანაკარგების გამო, რომლებმაც დაახლოებით 5 მილიონი კაცდღე შეადგინა, დაგვაკლდა 400 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მრეწველობის პროდუქცია. კადრის მუშაობა დენადობის დონე, მისი ერთგვარი შემცირების მიუხედავად, უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.

შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ამოცანის გადაწყვეტას ყველანი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მივუდგეთ და უწინარეს ყოვლისა ის ამხანაგები, რომლებიც უძღვებიან ამ პრობლემას რესპუბლიკისა და ცალკეული რეგიონების მასშტაბით.

მესამე, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვს გვმატებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეშიც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, ვინაიდან მთელი რიგი საწარმოები, კერძოდ, კვების მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებისა და ზოგიერთი ხუთწლედის წლებში—38 პროცენტით, რის შედეგადაც განსხვავება საშუალო საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს შორის 14,8 პუნქტით შემცირდა.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მოწმობს აგრეთვე ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის საგრძნობი ზრდა. თუ 1975 წელს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილის მიხედვით საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მე-11 ადგილი ეკავა, 1980 წელს მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ყოველივე ამან უზრუნველყო ის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ეკონომიკური და სოციალური განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით. 1972 წელთან შედარებით განსხვავება რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მიხედვით შემცირდა 11,1 პუნქტით; ეროვნული შემოსავლისა — 17,9; მრეწველობის პროდუქციისა — 12,5; სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 25,9; საქონელბრუნვის მოცულობისა — 5,7; მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებისა — 2,6; მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის მიხედვით — 1,7; ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მიხედვით — 25,9 პუნქტით.

მაგრამ, ამის მიუხედავად, **განსხვავება რესპუბლიკურ და საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს შორის, რომლებიც საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების დონეს გამოხატავენ, ჯერ კიდევ არსებითია.** უკანასკნელი (1979 წლის) მონაცემების მიხედვით, რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე მოდიოდა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი — 80,5 პროცენტი; წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 90,7 პროცენტი; მრეწველობის მთლიანი პროდუქცია— 70,3 პროცენტი; სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია — 91,5 პროცენტი; საცალო საქონელბრუნვა — 82,6 პროცენტი. როგორც ხედავთ, ჩამორჩენა კვლავ სერიოზულია.

ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით ამჟამად საქართველოს რესპუბლიკა ქვეყანაში მე-8 ადგილზეა, ხოლო მრეწველობის წმიდა პროდუქციის წარმოების მიხედვით — მე-9 ადგილზე.

ასეთი განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ისიც, რომ საქართველოს თაობაზე მიღებულ ზოგიერთი დადგენილებას მთლიანად არ ვასრულებდით არც ჩვენ, არც ზოგიერთი ცენტრალური ორგანო. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ როგორც რესპუბლიკაში, ისე ცენტრში როდი უფროხილდებიან ჯეროვნად გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გუშინდელ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაუკითხავად დაუშვეს დადგენილ დავალებათა შესწორება-შემცირება, რაც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს დაამ

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება).

იმის შესახებ, თუ რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება ამ გზას, რა კომფორტს შეუქმნის იგი მგზავრებს, როცა მნიშვნელოვნად, თითქმის 1000 კილომეტრით შემცირდება მანძილი მოსკოვიდან თბილისამდე, ჩვენ უკვე წინათ, პარტიის XXVI კონგრესზე ვილაპარაკეთ.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ინტენსიურად დავიწყოთ ამ რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. მისი დაპროექტება და მშენებლობა ინტენსიური თვალსაზრისით ძალზე რთული და შრომატევადი პროცესია, რომელსაც განსაკუთრებული სპეციალური მომზადება სჭირდება. სპეციალისტთა შეფასებით, თუ დადებითად გადაწყდა ეს საკითხი, წელიწადში მოგვიხდება დაახლოებით 100-110 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდების ათვისება. ასეთი უზარმაზარი მშენებლობა მნიშვნელოვნად მოითხოვს გარდავქმნათ მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამიერკავკასიისათვის ამ, შეიძლება ითქვას, საუკუნის მშენებლობას უნდა უძღვებოდეს ყველა უმთავრესი რგოლი—რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმშენი, შრომსახკომი, სხვა სამინისტროები და უწყებები. ამხანაგები უნდა ემზადონ ასეთი მუშაობისათვის. ეტყობა, მიზანშეწონილი იქნება, შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის საკითხებზე. ძალიან ბევრი საკითხი დაგროვდა.

საერთოდ, რესპუბლიკაში, გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა სრული ათვისების კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. ეს მიგვაჩნია იმ მუშაობის უშუალო შედეგად, რომელიც ეს ბოლო წლებია წარმოებს **კაპიტალური მშენებლობის** ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების გარდასაქმნელად.

სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგს პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები ახლა გაცილებით უკეთ, უფრო კონკრეტულად და უფრო კვალიფიციურად უძღვებიან. უდიდეს მშენებლობებზე მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინეს იმ შტაბებმა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგები ხელმძღვანელობენ.

მაგრამ ხარვეზები ამ დარგშიც არის. გასულ ხუთწლეულში წლიური გეგმების კრებსის მიხედვით უკმაყოფილებულია 190 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება, ხოლო ძირითადი ფონდების უკმაყოფილებულმა 280 მილიონ მანეთს გადაამეტა. ჯერ კიდევ მაღალია დაუმთავრებელი მშენებლობის დონე, სახსრები და მატერიალური რესურსები კვლავინდებურად იქსაქსება, ირღვევა მშენებლობის ვადები, მიზი ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

ახალი, პასუხსაგები ამოცანები დგება მშენებელთა წინაშე იმის გამო, რომ მკვეთრად მატულობს კაპიტალური დაბანდების მოცულობა, რომელიც საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილებით აირის განსაზღვრული. ჩვენ მართლაც უდიდესი მოცულობის სამუშაო მოგველის სამრეწველო, სამოქალაქო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო დანიშნულების ახალი ობიექტების ასაშენებლად. გარდა იმისა, რაც განსაზღვრული იყო მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის მონახაზებით, ჩვენ უნდა ავითვისოთ დამატებით 450-500 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. უნდა გადავწყვიტოთ ათობით მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ძალზე რთული ამოცანები, თანაც იგი დაჩქარებული ტემპით უნდა ვაწარმოოთ.

ყველა ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა, რომ ასეთი პასუხსაგები ეტაპისათვის ემზადოს ჩვენი სამშენებლო კონვეიერის ყოველი უბანი. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ შემკვეთის მუშაობის დონე და როლი. მშენებლობის ასეთი გაქანების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშენებლობათა დროულ უზრუნველყოფას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. აქ ჩვენ, თუ გულახდილად ვილაპარაკებთ, გაუტეხავი ყამირი გვაქვს, — უნდა გადავწყვიტოთ დაფინანსების, მოწყობილობის მიწოდების საკითხები. გასაუჯობესებელია დაპროექტების ხარისხი. ჩვენი დამპროექტებლებისადმი სერიოზული პრეტენზიები გვაქვს. ძალზე ბევრი ნაკლია კვების მრეწველობის ობიექტების დაპროექტებაში. ეს ჩანს „საქკვებმრეწველის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მაგალითზეც, რომელსაც ამხ. გ. ს. ჯობარაძე ეფიუნარობს. ეტყობა, მოგვიწევს ამ ინსტიტუტის მუშაობის შემოწმება. დღეს ამხ. ზ. ა. პატარიძემ თქვა, რომ დამაკმაყოფილებლად არ აპროექტებენ სასოფლო, წყალსამეურნეო და სხვა ობიექტებს. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სერიოზულად, პრინციპული პარტიული პოზიციებიდან უნდა გავერკვეთ. უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ იმ საპროექტო გადაწყვეტათა შექმნაში, რომლებსაც ჩვენთვის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ამუშავებენ.

ყველა აღნიშნულ საკითხში რესპუბლიკის სახმშენმა, ამხ. გ. ზ. მირიანაშვილმა, ამ კომიტეტის სხვა ხელმძღვანელებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ თავიანთი პოზიციები.

მშენებლობის მზარდი მასშტაბი მოითხოვს სულ უფრო მეტად განვამტკიცოთ საიჯარო ორგანიზაციების საწარმოო ბაზა, კიდევ უფრო ავამაღლოთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, სამეწ მასალათა მრეწველობის განვითარების დონე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ინტენსიფიკაციის რეზერვების უფრო სრულ გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. დიდი მუშაობა მოგვიწევს აგრეთვე იმისათვის, რომ დროულად მოვამზადოთ კადრები, უზრუნველყოთ მშენებლობანი კვალიფიციური სპეციალისტებით. ერთი სიტყვით, კაპიტალურ მშენებლობაში ბევრი საქმე გვაქვს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, აშენება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. საჭიროა აგრეთვე კარგად მოვემზადოთ წარმოებისათვის, დროზე ავითვისოთ სიმძლავრენი, შევუქმნათ მუშაკებს შრომისა და ყოფაცხოვრების საჭირო პირობები, გამოვუშვათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

შემდეგ, შეეხო რა საქართველოს **სოფლის მეურნეობის** განვითარების პრობლემებს, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში პოზიტიური ცვლილებები მოხდა. სასიხარულოა, თქვა მან, რომ რესპუბლიკამ მიაღწია ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსის წარმოების ზრდის სტაბილურ ტემპს.

ლეონიდ ილიას ძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ სახეობათა პროდუქციის მიხედვით საქართველოს მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს ქვეყანაში, და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენ კვლავაც განვავითარებთ სამხრეთული კულტურების წარმოებას, საბჭოთა ადამიანების სუფრას რომ ესოდენ სჭირდება. ჩვენ სრულიად კონკრეტულ, სავსებით გარკვეულ დირექტივად უნდა აღვიქვათ ის სიტყვები, რომ **საქართველოს ეკონომიკის შემდგომი ამაღლება მისი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის გაძლიერებას მოითხოვს.**

ამისათვის რესპუბლიკა ამ სფეროშიც **უნდა დაწინაურდეს** საშუალო საკავშირო დონეზედ. ჩვენ კი, როგორც აღინიშნა, ჩამოვრჩით ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მეტადრე, ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების მხრივ, საკმაოდ სწრაფად არ იზრდება ჯოგის პროდუქტიულობა, ბევრი მეურნეობა კვლავინდებურად დაბალი წონითი კონდიციების პირუტყვს აბარებს და ა. შ. ეს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტიკაა. და იგი ჩვენი სოფლის მეურნეობის ბედის, მისი შემდგომი აღმავლობისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი.

რა თქმა უნდა, აქ შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი ობიექტური მიზეზი, და თითოეული მათგანი სამართლიანი იქნებოდა: თუნდაც ის, რომ ჩვენში დიდია მოსახლეობის სიმჭიდროვე, რომელიც თითქმის შვიდჯერ სჭარბობს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს

და, ცხადია გავლენას ახდენს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონეზე ისიც, რომ ჩვენში 100 ჰექტარ სოფლის მეურნეობის სავარგულებზე ვაწარმოებთ თითქმის სამჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში, აქედან ხორცს — 67 პროცენტით, ხოლო რძეს — 23 პროცენტით მეტს. და ბოლოს ის, რომ ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხრივ ჩამორჩენა უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში 35-დან 9 პუნქტამდე შემცირდა.

მაგრამ ჩვენ წესად როდი გვაქვს თავის გასამართლებელი მომენტები ვეძებოთ ხოლმე. ჩამორჩენა უნდა აღმოიფხვრას, და ჩვენ მას კიდეც აღმოვფხვრით!

აკი შევძელით მეათე ხუთწლედში დაგეგმზადებინა დავალებაზე 500 მილიონი მანეთით მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია და მნიშვნელოვანწილად სწორედ ამის მეოხებით მიგვეღწია სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის 41-პროცენტიანი მაჩვენებლისათვის! **ასევე მეთერთმეტე ხუთწლედშიც მივაღწევთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაგეგმილ საშუალო წლიურ ზრდას 22-24 პროცენტით, მაშინ როდესაც საშუალო საკავშირო ზრდა 12-14 პროცენტია დაგეგმილი.** ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს: 1985 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რესპუბლიკაში შეადგენს 519 მანეთს, ხოლო ქვეყანაში — 533 მანეთს. ამრიგად, გარღვევა სულ მხოლოდ 2,7 პუნქტი იქნება. თუ კარგად, ერთსულოვნად ვიმუშავებთ, მასაც დავძლევთ.

საშუალო საკავშირო დონის მიღწევა ასე იოლი როდია. ამისათვის საჭიროა დადგენილი გეგმის გადამეტებით ხუთწლედის დამლევს ვაწარმოოთ 73 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. შევძლებთ თუ არა ჩვენ ამას? ვგონებ, რომ შევძლებთ. ამისათვის საჭიროა 1985 წელს ხუთწლიანი გეგმის დამატებით ვაწარმოოთ 50 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 30-35 ათასი ტონა ციტრუსი და 20-25 ათასი ტონა ყურძენი. ეს კი სავსებით შესაძლებელია. ურიგო არ იქნებოდა, სწორედ ეს ციფრები ჩაგვეწერა ღონისძიებებში, რომელსაც დღეს დაამტკიცებს ჩვენი პლენუმი.

სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ზრდის ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების ფართო პროგრამის რეალიზაციასთან. აი უკვე მესამე წელია, კოლხეთის დაშრობის სამუშაოები ახალი მეთოდით წარმოებს და საერთოდ, დადებითს შედეგებსაც გვაძლევს. კარგად მუშაობენ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისია, სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციები.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქაც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, მელიორაციის ტემპი კოლხეთში დღესდღეობით არ არის საკმარისი. მეათე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 26 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები, გეგმა კი 40 ათასს ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია სისტემათა ექსპლოატაციაში. მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენ კოლხეთში უნდა დავაშროთ 35 ათასი ჰექტარი დაჭაობებული მიწა. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ სამუშაოთა დამტკიცებული პროგრამის უცილობელი შესრულება, რასაც ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შეუნელებელი კონტროლი უნდა გაუწიონ. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება კოლხეთის მიწების ათვისებისადმი. ასეთი ამოცანა დაგვისახა ლ. ი. ბრეჟნევმა.

რთული პრობლემები გვაქვს ბალასაჭრელი მეცხოველეობის დარგში, რომელიც სასურსათო პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგის აღმავლობისათვის. მართლაც კარგი შედეგებია მიღწეული. თუ 1972 წელს მეცხოველეობის სხვადასხვა სახეობის პროდუქტების წარმოების ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ჩვენში 11-24-მდე პუნქტს შეადგენდა, მაშინ რესპუბლიკამ უკვე 8-27 პუნქტით გადაამეტა ტემპის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მოიწონა კურსი, რომელსაც ჩვენ დავადექით, რათა **საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადავაქციოთ.**

მაგრამ დღესდღეობით ვერ გვაკმაყოფილებს ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების ზრდის, პირუტყვის წველადობისა და წონამატების გადიდების ტემპი.

მეცხოველეობის აღმავლობის პრობლემა გრძელვადიანია, და ჩვენ მას ყოველთვის დავუბრუნდებით ხოლმე. ამიტომ დღეს მხოლოდ ორ საკითხზე ვილაპარაკებთ.

პირველი ეხება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგის მომრავლებას, რაც მისი სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების ძირითადი პირობაა. ჩვენ დავიხსახეთ მიჯნა — ძროხის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში გაგვეზარდა 1981 წლის 1 იანვრისათვის 223 ათასამდე, ხოლო საშუალო წველადობა — 2000 კილოგრამამდე. ამ მიზნით რესპუბლიკაში შემოვიყვანეთ და მოსახლეობისაგან შევისყიდეთ 60 ათასზე მეტი საჯიშე ფური და დეკეული, რაც 70 მილიონ მანეთზე მეტი დაგვიჯდა. ფაქტობრივად კი ძროხის სულადობა 1975 წლიდან გაიზარდა მხოლოდ 7000 სულით, ხოლო საშუალო წველადობა — სულ 123 კილოგრამით. ასე რომ, დახარჯული სახსრებისა და ენერგიის უკუგება, პირდაპირ ვთქვათ, ყოვლად უმნიშვნელოა. შეიძლებოდა დაგვესახლებინა რესპუბლიკის ათი რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის დამახასიათებელი მაგალითები, სადაც დიდძალი სახსრები მოხმარდა პირუტყვის შესყიდვას, მაგრამ ძროხის სულადობა არათუ არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა კიდეც; რაც შეეხება წითელწყაროსა და გორის რაიონებს, აქ მკვეთრად იკლო საშუალო წველადობამაც. და ყოველივე ეს, თქმა არ უნდა, დარგისადმი ზოგიერთი ჩვენი მუშაკის არაკომპეტენტური, უუნარო ხელმძღვანელობის შედეგია.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა **ახლანდელ ხუთწლედს საკვების ხუთწლედად უწოდა,** ვინაიდან გულისხმობდა, რომ მეცხოველეობის აღმავლობის საკვანძო ამოცანაა საკვები ბაზის განმტკიცება. საკვების პრობლემაზე ჩვენ სისტემატურად ვმუშაობთ და ამ საქმეში ბოლოდროინდელ ხანებში ბევრი საკვების წარმოება საკვებ ერთეულზე გადაანგარიშებით უკანასკნელი რვა წლის მანძილზე ერთთიორად გაიზარდა.

მაგრამ ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობა არ არის საკმარისი. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ თივის, სენაჟის, სილოსის, სხვა უხეში და წვნიანი საკვების დამზადების ტექნოლოგიის შეუფუნარებელი დარღვევის გამო რესპუბლიკამ შაარშან დაახლოებით 200 ათასი ტონა საკვები ერთეული დაკარგა.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა საკვებად მარცვლეულის გამოყენების შემცირების კურსს დაადგა, საჭიროა უფრო აქტიურად შევადგინოთ უხეში და წვნიანი საკვების წარმოების ზრდის, მისი ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური პროგრამები. გამოანგარიშებულია, რომ ბუნებრივი სათბიანი ფართობი რესპუბლიკაში, იგულისხმება ძირითადად მთის რაიონები, შეიძლება გაორკეცდეს და გადიდდეს 300 ათას ჰექტარამდე, ხოლო ამ სავარგულების მოსავლიანობა, საჭირო მინერალური სასუქების შეტანის შედეგად, — გაიზარდოს ჰექტარზე 30 ცენტნერ მაღალხარისხოვან თივამდე. ეს წელიწადში დამატებით მოგვცემს 450 ათას ტონა მაღალხარისხოვან თივას, რაც 225 ათასი ტონა საკვები ერთეულია. საკვების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს ჩვენს საძოვრებზე, რომელთა ფართობი ორ მილიონ ჰექტარს აღწევს. საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ყიზლარის საძოვრების რეზერვები.

მეორე საკითხი, მინერალურ სასუქებზე საკვები კულტურების და სათბ–საძოვრების მოთხოვნილებას ჩვენ მხოლოდ 10-23 პროცენტით ვაკმაყოფილებთ. იქნებ ღირდეს, ამასთან დაკავშირებით ყურად გვიღო იმ ამხანაგების აზრი, რომლებსაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ XI ხუთწლედში მინერალური სასუქების წარმოების მთელი ნამატი მოვახმაროთ საკვებ კულტურებს, მათივე დავუთმოთ ახლად დაშრობილი და გასაარწყავებული მიწების ნახევარი. მოდით, ვიმსჯელოთ ამ წინადადებაზე და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

ლეონიდ ილიას ძემ, როცა თქვა, რომ ახლა **სასურსათო პროგრამა** ყალიბდებაო, საგანგებოდ აღნიშნა, რომ **რესპუბლიკის წვლილი ასეთი საერთო-საკავშირო პროგრამის რეალიზაციაში უნდა გაიზარდოს. „ამის რეზერვები თქვენ აქ გაქვთო“, — ბრძანა მან.**

ამ რეზერვების ამოქმედება რთული ამოცანაა. მაგრამ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ იგი და გადავწყვეტთ კიდეც! ამ დამატებითი რეზერვების გამოსავლენად უკვე მუშაობენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ყველა სამინისტროსა და უწყებაში. დღეს ჩვენ ციფრებს არ დავასახელებთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ეს რეზერვები, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეძებოთ მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობაში, მეციტრუსეობაში და, რა თქმა უნდა, მეცხოველეობაში.

იქნებ ღირდეს, შეგვექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი და მისთვის დაგვეკალკულირებინა განიხილოს შემოსული წინადადებები და ბოლამდე, ასე ვთქვათ, გამოვლენილ რეზერვებზე დაფუძნებული **შემზადები სასურსათო პროგრამა.** ეს გამოვლენილი რეზერვები ჩვენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დამატებითს შესაძლებლობებს მოგვცემს.

უნდა გააქტიურდეს რესპუბლიკური სასურსათო კომისიის მუშაობა. როგორც ამ კომისიის თავმჯდომარემ, თვითკრიტიკულად უნდა ვალიარო, რომ მის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია გადასაწყვეტი საკითხი. ჩვენ ყველამ, კომისიის მთელმა შემადგენლობამ, სერიოზულად უნდა გარდავქმნათ მუშაობა.

თავის დროზე ამოცანად დავისახეთ მიგვეღწია ისეთი მდგომარეობისათვის, რომ უკლებლივ ყველა რაიონს, თითოეულ კოლმეურნეობას, ყოველ საბჭოთა მეურნეობას, თითოეულ სოფელს ჰქონოდა ადგილობრივი რესურსების, ადგილობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შედგენილი თავისი სასურსათო პროგრამა.

პირველი ასეთი პროგრამა, ასე ვთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობისა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობით შეადგინეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში. ჩემი აზრით, აქ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული და მომზადებული პროგრამა ნიმუშად გამოადგებათ სხვა, უწინარესად, სუბტროპიკული ზონის მეურნეობებს.

კახათის პროგრამაში (როგორც ხედავთ, მას უკვე მიუღია მოქალაქეობის უფლება!) დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებრივი მეურნეობის მოსახლეობასთან კოოპერირებას არა მარტო მეცხოველეობის, აგრეთვე მემცენარეობის პროდუქტების წარმოების საქმეშიც.

ამ მიმართულებით რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობა მოიწონა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც თქვა, რომ საქართველოში ეს ბოლო წლებია რეგიონად იყენებენ საკარმიდამო ნაკვეთებში ხორცისა და რძის წარმოების გადიდების რეზერვებს, და რომ **კვლავაც უნდა შევუწყოთ ხელი საკარმიდამო მეურნეობათა განვითარებას, თუმცა, რა თქმა უნდა, არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება საზოგადოებრივ წარმოებას.** ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა იმისა, რომ შევქმნათ ფართო სასურსათო პროგრამა და უზრუნველყოთ მშრომელები სურსათ-სანოვაგით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით.

საზოგადოებრივ და საკარმიდამო მეურნეობათა კოოპერირების დარგში ძალზე კარგი ნაყოფი გამოიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცდილების გამოყენების გზით გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა. ამ საქმეში დიდი წარმატებანია მიღწეული აბაშის, სამტრედიის, მახარაძისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოთ **კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებში მოყვანილი მთელი მოსავლის დროულ და სრულ გადამუშავებას.** აქ, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, საჭიროა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის ყველა მშრომელის ყაირათიანობა და ინიციატივა. ეს შესაბამისი სამინისტროების, ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაც არის. სამე ისე უნდა დავაყენოთ, რომ **არ ვკარგავდეთ არც ერთ კილოგრამ მარცვლეულს, ხილსა და ბოსტნეულს, არ გვქონდეს დანაკარგები პროდუქციის გადაზიდვისა და შენახვის ცუდი ორგანიზაციის გამო.**

ყოველივე ზემონათქვამიდან შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგების ზუსტი აღრიცხვაც კი არა გვაქვს მოგვარებული, ხოლო შერჩევითი შემოწმება ყოველთვის ვერ იძლევა რეალურ სურათს, მაგრამ ეს მონაცემებიც კი ფრიად დამაფიქრებელია. ისინი მოწმობს, რომ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისას დანაკარგები ჭირნახულის 2—10 პროცენტს შეადგენს. ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და შენახვის დროს კი — 3—14 პროცენტს და ა. შ. რაც შეეხება რეალიზაციას, ოთხი წლის მანძილზე, არასრული მონაცემებით, მარტო ხილბოსტნეული პროდუქციის დანაკარგებმა 100 ათას ტონას გადააჭარბა.

დიდი ზარალი ადგებათ მეურნეობებს პირუტყვის გაწყდომის, მეურნეობაშივე დაკვლისა და ბაზარზე მცირე წონის პირუტყვის გაყიდვის გამო.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაცვა-შენახვისათვის, მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად, მთავარი პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებიც რესპუბლიკურ აგროსამრეწველო კომპლექსში შედიან. ეტყობა, სწორი იქნება, თუ ჩვენ შევქმნით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგების წინაადმდეგ ბრძოლის სპეციალურ, ავტორიტეტულ კომისიას და დავავალებთ მას კოორდინაცია გაუწიოს ამ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. იგულისხმება, რომ კომისიის შემადგენლობაში შევლენ ყველა მაკონტროლებელი, აღმინისტრაციული ორგანოს, ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მწვავედ დგას სოფლის მეურნეობაში ფონდუკუნგების ამაღლების საკითხი. განსაკუთრებით დიდი რეზერვები გვაქვს მეცხოველეობის კომპლექსების ათვისებაში.

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის დანარჩენი სფეროებისაგან იზოლირებული არ არის. დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს არა მარტო მინდვრისა და ფერმის მუშაკთა შრომა, არამედ აგრეთვე ასობით ფაბრიკა-ქარხნის მუშაობა, ტრანსპორტის უზადო ორგანიზაცია.

ჩვენ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ ყოველმა სამინისტრომ, გაერთიანებამ, საწარმომ, პარტიის მიერ სასურსათო პრობლემის გადაჭრის დასახული ამოცანის შესაბამისად, თავის წლიურ და ხუთწლიან გეგმებში გაითვალისწინოს ამ პრობლემის გადაჭრის ხელშემწყობი კონკრეტული ღონისძიებანი. აქ ყურადღებას ექცევა ძნიშვნელოვნად: სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის, მინერალური სასუქების, საწვავის, წარმოების სხვა საშუალებების მიწოდებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას, სოფლად საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოებას და ა. შ.

რესპუბლიკაში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ჩვენში მრავალად არის ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკით უზრუნველყოფისათვის მუშაობენ. ეს ენი გახლავთ სამთო სასოფლო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე არაერთხელ გვილაპარაკია, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და იარაღების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, თბილისის „საქსოფლმანქანის“ და აღმოსავლეთ მრეწველობის სამინისტროს მექანიკური ქარხნები და სხვები—სულ 15-მდე ორგანიზაცია. არადა, მართალი გითხრათ, ჯერ-ჯერობით უკეთესია არ იგრძნობა. არ ნათმშენებლობაში ჩვენ არა გვაქვს ერთიანი ტექნიკური იგრძნობა იმიტომ, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანაპოლიტიკა.

ეს იმიტომ ხდება, რომ ჩამოთვლილი საწარმოები სხვადასხვა უწყებას ექვემდებარებიან და ამიტომაც შეთანხმებულად ვერ მუშაობენ. სამეცნიერო-კვლევითს და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს ახალი ტექნიკის შესაქმნელად და გამოსაცდელად არ გააჩნიათ საჭირო საწარმოო ბაზა, არსებული ქარხნები მცირე სიმძლავრისაა და უაღრესად დაბალი მათი ტექნიკური დონე. მაშ, რაღა გასაკვირია, რომ ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება და მანქანათა საქარხნო ნიმუშების დამზადება ხუთ-ექვს წელზე მეტხანს, ხოლო მათი შექმნისა და სერიული წარმოების დაწყების სრული ციკლი ათი, ზოგჯერ კი თხუთმეტი წლითაც ჭიანურდება, როცა ისინი მორალურად უკვე ძველდება?

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა დაჩქარებული ტემპით განვახორციელოთ თბილისის „საქსოფლმანქანის“ და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნების რეკონსტრუქცია, რომლის შესახებ სადირექტივო ორგანოებმა სპეციალური გადაწყვეტილება მიიღეს.

მანქანებისა და აპარატების შემუშავება და სამრეწველო წარმოება, აგრეთვე მათი სოფლის მეურნეობაში დანერგვა სოლიდურ მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. აქ ზუსტი სისტემა, პერსპექტივისათვის გათვალისწინებული სერიოზული პროგრამაა საჭირო. ეტყობა, დროა შეიქმნას რესპუბლიკური გაერთიანება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მეცნიერთა, დამპროექტებელთა, კონსტრუქტორთა, წარმოების მუშაკთა მეცადინეობას და ამით ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას საჭირო ტექნიკით. შეიძლებოდა ეს გაერთიანება შეგვექმნა კოოპერირებულ საფუძველზე. ასეთი გამოცდილება არის სომხეთის სს რესპუბლიკასა და სხვა რესპუბლიკებში.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ დაჩქარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლის გამოშვება ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში და მივაღწიოთ ამ პროდუქციის სერიული ათვისებას, რომლის დამზადებაზეც მთლიანად გადავა ქარხანა მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის.

რესპუბლიკაში მინერალური სასუქების გამოშვების კარგი პერსპექტივა გვესახება იმ რეკონსტრუქციის მეოხებით, რომელიც რუსთავის ქიმიურ ქარხანაში განხორციელდა. მაგრამ ქარხნის საპროექტო სიმძლავრეთა უაღრესად ნელი ათვისების გამო სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლდება სასუქი. არადა, გეგმის გადამეტებით გამოშვებული მთელი მინერალური სასუქები ხომ რესპუბლიკის განკარგულებაში რჩება. ამ ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემის გადაჭრა რუსთავის ქიმიური ქარხნის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

ორიოდე სიტყვა საწვავზე. ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხანა უკვე ამყამად მთლიანად უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოთხოვნილებას დიზელის სათბობსა და საავიაციო ნავთზე. ამ საკითხის გადაწყვეტას მივაღწიეთ საკავშირო ორგანოებში. ქარხნის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ყველა ღონისძიება უნდა იხმაროს სახალხო მეურნეობის ავტობენზინით უზრუნველყოფისათვის. საჭიროა მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის საქმეს, მიაღწიონ საწარმოს რიტმულ უზრუნველყოფას მთელი საჭირო ნედლეულით, ოპერატიულად გადაწყვიტონ ყველა ეს საკითხი მთავარ სამმართველოში. ეს საკითხები პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის ყოველდღიურ ყურადღებასაც მოითხოვს.

დიდი და ფრიადი პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენი გადამამუშავებელი მრეწველობის წინაშე. ხუთწლედის დამლევისათვის სასურსათო პროდუქციის მოცულობა შეაჯ

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ში, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ ბაზებში ჯანმრთელობა გაიკაჟა 1,7 მილიონმა კაცმა. 4 მილიონს გადაუჭარბა ეგრეთ წოდებულმა „არაორგანიზებულ-მა“ დამსვენებელმა. სულ კი ტურისტებისა და ექსკურსანტების რიცხვმა 13 მილიონს გადაამტა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთო, რათა გავაფართოოთ და განვამტკიცოთ კურორტების მატერიალურ-სამკურნალო ბაზა. მეათე ხუთწლედის მანძილზე საკურორტო მეურნეობისათვის გამოყოფილმა კაპიტალურმა დაბანდებამ და რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერების მოწყობისათვის გაწეულმა ხარჯებმა 54 მილიონ მანეთს გადაუჭარბა. უფრო სწრაფი ტემპით გაფართოვდება სანატორიუმების, პანსიონატების, სხვა დასასვენებელი დაწესებულებების ქსელი მიმდინარე ხუთწლეულში. მარტო საქართველოს პროფსაბჭოსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს საკომეურნეო ჯანმრთელობის კერების სამმართველოს ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გათვალისწინებულია 67 მილიონი მანეთის ოდენობით. დაახლოებით 15 მილიონი მანეთი გამოიყოფა ჯანმრთელობის კერების კეთილმოწყობისათვის. მთელი გამოყოფილი სახსრები მთლიანად უნდა ავითვისოთ.

დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს, რომლებსაც უნდა გაუდიდდეთ ასიგნებანი სანატორიუმებისა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის.

მოდით, ამხანაგებო, ისე ვქნათ, რომ **საბჭოთა ადამიანები მუდამ გრძნობდნენ საქართველოს კურორტების მუშაკთა, ჩვენი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სამედიცინო პერსონალის ზრუნვასა და ყურადღებას, ჩვენი ხალხის გულითად, გულთბილ სტუმრთმოყვარეობას.**

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა საქართველო გაუთანაბრდეს საშუალო საკავშირო დონეს ეკონომიკური განვითარების ყველაზე არსებითი მაჩვენებლების მიხედვით.

და ეს მხოლოდ ადასტურებს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ **ყველას ჩვენგანს დიდი დაძაბული მუშაობა მოგველის.**

ამ მუშაობაში უნდა ჩაებას ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტი, ადგილობრივი საბჭოები, ყველა სამინისტრო და უწყება, ყველა შრომითი კოლექტივი. მხოლოდ ასეთი საყოველთაო პარტიული, საყოველთაო-სახალხო მონაწილეობით შევძლებთ შევიმუშაოთ მომავლის სამოქმედო კონკრეტული, საგნობრივი პროგრამა.

საქართველოს შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილების შესრულება, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა, ძირითადი მიჯნები, დონე, რომელსაც რესპუბლიკა უნდა **გაუთანაბრდეს,** შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო თანამიმდევრულად განვახორციელოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კურსი.

უკვე ახლა სავსებით ცხადია, რომ სწორედ ეს ახალი დადგენილება გადაწყვეტს მეთერთმეტე, მეთორმეტე ხუთწლედებისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების უმნიშვნელოვანეს საკვანძო პრობლემებს. ეს პრობლემები გულისხმობს, რომ **მინიმუმამდე შევამციროთ განსხვავება საშუალო საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს შორის, საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების ცალკეული პარამეტრების მიხედვით კი გადავაჭარბოთ საშუალო საკავშირო დონეს.**

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს:

ჯერ ერთი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის შემდგომი დაჩქარებისა და წარმოების ტექნიკური ბაზის სრულყოფის საფუძველზე გავაძლიეროთ მთელი სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი.

ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რადგან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებით რესპუბლიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არსებითად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს.

შრომის ნაყოფიერების მიხედვით ეს ჩამორჩენა 1979 წელს დაახლოებით 14,3 პროცენტს შეადგენდა. განსაკუთრებით საგრძნობი განსხვავება შეიქმნა ამ მხრივ მრეწველობაში — 16,4 პროცენტი. გაანგარიშება მოწმობს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების საშუალო საკავშირო დონისათვის რომ მიგვეღწია, ეროვნული შემოსავლის წარმოება რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა წელიწადში საშუალო საკავშირო მაჩვენებლს არა 90,7 პროცენტს, არამედ 96,2 პროცენტს.

ავიღოთ სხვა მაჩვენებლები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფონდოაღჭურვილობის დონემ 1979 წელს საშუალო საკავშირო მაჩვენებლის მხოლოდ 84,3 პროცენტი შეადგინა, მათ შორის მრეწველობაში — 97,3, სოფლის მეურნეობაში — 67,5 პროცენტი. შრომის ელექტროაღჭურვილობით რესპუბლიკა საშუალო საკავშირო დონეს 41,8 პროცენტით ჩამორჩება. წარმოების ტექნიკური დონის ასეთი დაბალი მაჩვენებლები იმას მოწმობს, თუ რამდენად სუსტია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჯერ კიდევ რა ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მისი განვითარებისათვის. თავს იჩენს სამოციანი და სამოცდაათიანი წლების დამდეგს ეკონომიკის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები. 1965 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 69,8 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1970 წელს — 70,2 პროცენტი.

ახლა უკვე სავსებით ცხადია, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი დაჩქარებული განვითარება წარმოუდგენელია, თუ უაღრესად აქტიურად არ გამოვიყენეთ მეცნიერება. ახლა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური და სოციალური განვითარების აღმავლობის, ინტენსიფიკაციის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.

თბილისში გამოსვლის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ **რესპუბლიკის მეცნიერებს ბევრი უთვალსაჩინოესი აღმოჩენა ეკუთვნით.** ჩვენი მეცნიერების წარმატებანი ცნობილია. ბევრ დარგში იგი დღეს საუკეთესო მიღწევების დონეზეა. მაგრამ ჩვენ ბეჯითად უნდა სრულვყოთ, განვამტკიცოთ მეცნიერთა კავშირი პრაქტიკასთან, უფრო აქტიურად დავნერგოთ წარმოებაში მათი კვლევის შედეგები.

მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, ჩვენმა სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა დაიკავონ საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ჩამორჩენის დაძლევისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციები, წინა ხაზი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მისი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სწრაფი ტემპის მიღწევაში. ჩვენ ველით მეცნიერთა კონკრეტულ დახმარებას სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მისი თვითღირებულების შემცირებაში, სამბობ-ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტაში და ა. შ. ჩვენში, არსებითად დაუხვეწია თვით მეცნიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემაც.

უფრო ფართოდ და აქტიურად უნდა ჩავაბათ მეცნიერები სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მუშაობაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები უშალოდ სამმართველო საქმიანობაში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და სხვა გზებით უნდა დაინერგოს.

მეორე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება შესაძლებლობას გვაქმნის კიდევ უფრო სრულყოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, უწინარეს ყოვლისა, ავამაღლოთ მისი ინდუსტრიული განვითარების დონე. ამასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამჟამად საქართველოში ერთ მცხოვრებზე მეოთხედით ნაკლები სამრეწველო პროდუქცია მოდის, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში მრეწველობას გაცილებით ნაკლები ხვედრითი წილი აქვს, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. 1979 წელს სსრ კავშირის მრეწველობამ მოგვცა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 56,5 პროცენტი, საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობამ კი 49,7 პროცენტი. მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების წილმა მთლიანად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 47,8 პროცენტი შეადგინა, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკაში — 41,2 პროცენტი. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხვედრითი წილი მუშამოსამსახურეთა საერთო რიცხვში შეადგენს შესაბამისად, 33 და 22,6 პროცენტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილების შესრულების შედეგად, უნდა მივაღწიოთ მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას, სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მისი ხვედრითი წილის მკვეთრ გადიდებას, რაც რესპუბლიკას შესაძლებლობას მისცემს მნიშვნელოვნად დაძლიოს საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით, ხელს შეუწყობს მას გავიდეს მოწინავე პოზიციებზე ქვეყანაში.

მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში მრეწველობის მუშაკთა ხვედრითი წილი რესპუბლიკაში საშუალო საკავშირო მაჩვენებლამდე რომ აგვიყვანა, ეროვნული შემოსავლის წარმოება ერთ მცხოვრებზე 1979 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში იქნებოდა საერთო საკავშირო დონის 101,1 პროცენტი ფაქტობრივად მიღწეული 90,7 პროცენტის ნაცვლად.

მესამე. ეკონომიკური და სოციალური განვითარების რესპუბლიკურ და საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს შორის განსხვავების რომ შევამცირებთ, ამით უფრო სწრაფად უზრუნველყოფთ შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების, მათ შორის მთისა და მთისწინა რაიონების ეკონომიკის არსებითი ამაღლებას. წარმატებით დაფაწყვდა ჩვენი ავტონომიური ერთეულების — აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ამოცანა.

რეგიონალური თვალსაზრისით სახალხო მეურნეობის უფრო გეგმაზომიერი განვითარების მიზნით უნდა გავაუმჯობესოთ წარმოების ტერიტორიული განლაგება, სრულვყოთ ეკონომიკის დაგეგმვა და მართვა ცალ-ცალკე თითოეული რეგიონის მიხედვით, უფრო სრულად გამოვიყენოთ ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსები.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დადგენილ ვადებში ავამოქმედოთ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო ობიექტები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით ჩავბათ დაახლოებით 220 ათასი კაცი. ეს 90,7 პროცენტამდე აამაღლებს მოსახლეობის დასაქმების დონეს, რაც უკვე გვარიანი შედეგია.

საჭიროა ავაშენოთ ახალი, გავაფართოოთ, რეკონსტრუქცია ვუყოთ და ტექნიკურად განვაახლოთ სამრეწველო საწარმოთა მოქმედი ფილიალები ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხულოს, ვანის, წალკისა და სხვა რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც ჭარბი შრომითი რესურსებია.

მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ შრომითი რესურსების სეზონთშორისი დასაქმების მართვა სოფლის მეურნეობაში — ეს ჩვენი დიდი რეზერვია, თანამიმდევრულად შევასრულოთ ქალთა, პენსიონერთა შრომის უკეთ გამოყენების რეკომენდაციები და. ა. შ.

ჩვენ წინაშე დგას ძალზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უფრო სრულად და უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები, რომლებიც, როგორც ითქვა, უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ საკავშირო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

დროა შრომის სახელმწიფო კომიტეტმა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და შესაბამის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან ერთად, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით დაიწყოს მთელ რესპუბლიკასა და მის თითოეულ რეგიონში შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესების ეფექტიანი მართვის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

მეოთხე. რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის ამაღლებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა, რომლებსაც წარმოების მოცულობის გადიდების დიდი რეზერვები აქვთ. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ დადგენილებაში, ისევე როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ პარტიისა და მთავრობის წინა გადაწყვეტილებებში, ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა მათს განვითარებას.

უნდა გამოვასწოროთ მეცხრე და მეათე ხუთწლედებში შექმნილი ვითარება, როცა ამ საწარმოებისა და გაერთიანებების ხაზით 1971-1980 წლებში, მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობის აბსოლუტურმა მატებამ დაავლებთ გათვალისწინებული 1.537 მილიონი მანეთის ნაცვლად მხოლოდ 1.161 მილიონი მანეთი შეადგინა. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა 376 მილიონი მანეთის პროდუქციის დანაკლისი ამ პერიოდში დაიფარა იმის შედეგად, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, ძირითადად ყურძნის, ჩაის, ზოგიერთი სხვა პროდუქციის გადამუშავების ხარჯზე.

ეტყობა აქ არ ეკავათ საკმაოდ პრინციპული პოზიცია ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მაშინ, როდესაც ქიმიური მრეწველობის, ჩარხსაშენებელი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და სხვა საკავშირო სამინისტროები ვერ უზრუნველყოფდნენ ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლების შესრულებას, არ გამოყოფდნენ ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებებს, აგრეთვე სათანადო რესურსებს, რომლებიც მთლიანად დატვირთავდნენ მოქმედ სიმძლავრეებს.

ამ საწარმოთა და გაერთიანებათა ჩამორჩენაზე გავლენა მოახდინა მთელი რიგი საკავშირო სამინისტროების ვიწროდარგობრივმა და ვიწროუწყებრივმა მიდგომამ, რომლებიც ზოგჯერ არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სსრ საწარმოო ძალების კომპლექსური განვითარების მოთხოვნილებებს და მნიშვნელოვნად ამცირებდნენ წინათ შეთანხმებულ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გაანგარიშებებში ნავარაუდევ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მოცულობებს. მარტო მეათე ხუთწლედში ეს მოცულობა შემცირდა თითქმის 145 მილიონი მანეთით. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ წლის მანძილზე საგეგმო დავალებებში წამდაუწუმ შეჰქონდათ შესწორებები მათი შემცირების მიზნით. საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის თავდაპირველი წლიური გეგმები მთლიანად მეათე ხუთწლედში შემცირდა 192,4 მილიონი მანეთით.

ახლა მდგომარეობა ბევრად გამოსწორდება.

ამჟამად, ამხანაგებო, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ: საქართველოს ყველა საჭირო პირობა აქვს იმისათვის, რომ არა მარტო დაძლიოს არსებული ჩამორჩენა, არა მარტო ავიდეს საშუალო საკავშირო დონემდე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მაჩვენებლის მიხედვით, არამედ დაიკავოს კიდეც ყველაზე მოწინავე პოზიციები ქვეყანაში.

ამ **დაძლევასა** და ამ **დაწინაურებაში** გადამწყვეტი ეტაპი იქნება მეთერთმეტე ხუთწლედი. დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას უკვე 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. **წლის შედეგები კი, მოგეხსენებათ, მთელი წლის მუშაობის შედეგების ჯამია.** ამიტომ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარმართავენ ჩვენდან საქმე წლის დამდეგიდან. ხოლო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაობის ხუთი თვის შედეგებს, რომლებზეც უკვე ვილაპარაკეთ, არა მარტო ძლიერი, არამედ სუსტი მხარეებიც აქვს. სასურველი არ არის, მაგალითად, ამა წლის თვეების მიხედვით სამრეწველო წარმოების მატების ტემპის შემცირება. იანვარში მან 7,4 პროცენტი შეადგინა, პირველ კვარტალში — 5,8, ხოლო ხუთ თვეში — 5,2 პროცენტი.

რესპუბლიკის მრეწველობამ სახელმწიფოს დააკლო 16,3 მილიონი მანეთის პროდუქცია, სამრეწველო წარმოების მატების ტემპი კი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0,6 პუნქტით შემცირდა. მიღწეულ დონესთან შედარებით წარმოების მოცულობა შეამცირა 216 საწარმომ. მთელი რიგი საწარმოები და გაერთიანებები ვერ ასრულებენ ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს. ჯერ კიდევ მწვავედ დგას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა. ამოცანა ის არის, რომ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 17 პროცენტამდე გავზარდოთ.

ამ საკითხზე ჩვენ ასეთი ცნობა მოგვიმზადეს. „ელ-11“ მაგისტრალის ელმავლისათვის სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მინიჭების შემდეგ თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ეკონომიკური სტიმულირების ფონდი 1981 წელს შეადგენს დამატებით დაახლოებით 308 ათას მანეთს. აქედან 217 ათასი გამოიყოფა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მატერიალური წახალისებისათვის. 28 ათასი მანეთი მოხმარდება წარმოების გაფართოებას, 72 ათასი — მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესებას და სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო ღონისძიებების განვითარებას. როგორც ხედავთ, კოლექტივი მნიშვნელოვან მოგებას, დიდ უპირატესობებს იღებს.

გარდა ამისა, დასახულია 26 ათასი მანეთით, ანუ თითქმის 10 პროცენტით გაიზარდოს ყოველი ელმავლის სარეალიზაციო ღირებულება. ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა მთლიანი პროდუქციის დამატებითი ზრდა. ზოგჯერ რა ჯაფა გვიღირს სამინისტროებში ამ მაჩვენებლის გადიდების მიღწევა, ხშირად უარსაც კი გვეუბნებიან რესურსების შეზღუდულობის გამო, აქ კი მთლიანი მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ და მხოლოდ ხარისხის გაუმჯობესების გზით.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების სიკეთეში კარგად დარწმუნდნენ ქუთაისელი ავტომობილშენებლები, რომელთა ავტოსაწევარს ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული.

დღეს საჭიროა ამ ამოცანის გადახაწყვეტად დავრაზმოთ ყველა კოლექტივი, დავაინტერესოთ თითოეული მუშაკი, მივაღწიოთ, რომ იგი განიმსჭვალოს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებდეს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში. ხუთი თვის მანძილზე ამოქმედდა 155 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც წლიური მოცულობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს. არ შესრულებულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. ყველა სამშენებლო ორგანიზაციის, უწყების და, უწინარეს ყოვლისა, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ვ. ტ. გოგოლაძემ და ი. ა. ხარატიშვილმა, ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა განახორციელონ ყველაზე სასწრაფო, ყველაზე რადიკალური ღონისძიებანი დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. დავალებანი თითოეული მშენებლობის მიხედვით უთუოდ უნდა შესრულდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ამხ. ზ. ა. პატარიძე, სხვა ამხანაგები, მთავარმომარაგების მუშაკები დიდად გაისარჯნენ, რათა უზრუნველეყოთ ჩვენი მშენებლობანი მთელი საჭირო მატერიალური რესურსებით. როგორც ბევრი ხელმძღვანელი აღიარებს, არც შარშან და არც მარშანწინ არ გვქონია ისეთი უზრუნველყოფა, როგორიც ახლა გვაქვს. ასე რომ, საქმის წარმატება ძირითადად თქვენზე ყოფილა დამოკიდებული, ამხანაგო მშენებლებო და შემკვეთებო.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის ბედი. უამინდობის გამო სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდით მეჩაიეობაში. მთელ რიგ რაიონებში არ დამთავრებულა საგაზაფხულო კულტურების თესვა. მეცხოველეობაში, ზოგიერთი დაღებითი მომენტის მიუხედავად, რომლებზეც ზემით ვილაპარაკეთ, საერთოდ საკმაოდ დაძაბული მდგომარეობა იქმნება. შეშფოთებას იწვევს საქმის ვითარება მეხილეობაში. საკვებწარმოებაში.

მთლიანად ხუთი თვის შედეგები ზოგადად გვისახავს, თუ როგორ სრულდება ნახევარი წლის გეგმა, რომელსაც, რადაც უნდა დაგვიჯდეს წარმატებით უნდა გავართვთ თავი ყველა ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

როგორც უკვე ვთქვით, ექვსი თვის შედეგებზე დამოკიდებულია წლის შედეგები, ხოლო მომდინარე წლის შედეგებზე დამოკიდებულია მთელი ხუთწლედის ბედი, რომელიც **დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი უნდა გახდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის გარკვეული ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის გზაზე.**

III.

ამხანაგებო! ახლა, როცა შემუშავებულია მთავარი გეგმა, მთავარი გადამწყვეტი მიმართულება, რომელზეც თავი უნდა მოვუყაროთ მთელ ძალებს, განსაკუთრებით საჭიროა ამ კალაპოტით წარვმართოთ მთელი **ორგანიზაციულ-პარტიული, იდეოლოგიური და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.** ეს მუშაობა მთლიანად უნდა დაექვემდებაროს იმ ამოცანებს, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა საიუბილეო ზეიმის დროს და რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

მკვეთრად უნდა გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ცხოვრების ყველა სფეროზე და, უწინარეს ყოვლისა, ავამაღლოთ სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე.

პარტიის XXVI ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ წინაშე დასახული პრობლემების გადაწყვეტა, არსებულ შესაძლებლობათა გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონეზე, დაგეგმვისა და მართვის დონეზე. აქ კი, თბილისში, მან აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის მართვის სრულყოფის ამოცანა, და რომ გარკვეული გამოცდილება ამ თვალსაზრისით შეიძინეს ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა რაიონებმა.

ამხანაგებს, ალბათ, ახსოვთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 1978 წელს გამართულ თავის IX პლენუმზე შეეცადა დაესაბუთებინა რესპუბლიკაში მიმდინარე სოფლის მეურნეობის მართვის მეთოდების სრულყოფის ექსპერიმენტები. მათ შორის რაიონულ რგოლში აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის აბაშური ექსპერიმენტი, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალ სისტემაზე გადასვლა და ზოგიერთი სხვა.

ამ წლების მანძილზე აბაშური მეთოდი გავრცელდა კიდევ 14 რაიონში. ახლად შექმნილი გაერთიანებანი მტკიცე ნაბიჯებს დგამენ. ახლახან აბაშის რაიონშიც გაიმართა თათბირი, რომლის შედეგები დამაჯერებლად მოწმობს, რომ რაიონული საწარმოო გაერთიანებები, როგორც ვსახავდით კიდეც, მიწის ერთიანი ბატონპატრონები ხდებიან. პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს ახლა აქვთ მართვის კვალიფიციური რგოლები, ჰყავთ საიმედო თანაშემწენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების რთული პრობლემების გადაწყვეტაში.

თუ გავითვალისწინებთ ამ თათბირზე ფართო აზრთა გაზიარების შედეგებს, დღეს შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

პირველი. შეძენილი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს წლის დამლევამდე მართვის ახალ სისტემაზე გადავიყვანოთ კიდევ 30 რაიონი, ესე იგი, არსებითად, რესპუბლიკის ყველა რაიონი, მთისა და ეკონომიკურად სუსტი რაიონების გარდა;

მეორე. ჩვენი სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი პარტიორიბის ანალოგიურად, უნდა გადავიყვანოთ სამეურნეო ანგარიშზე, ისე, ჯერჯერობით რომ არ შევიტანოთ სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები;

მესამე. აუცილებელი ხდება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაცია, ჩვენი აზრით, სწორი იქნება, თუ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შევქმნით სპეციალურ კომისიას, რომელსაც სათავეში ჩაუდგება თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ამასთან მივცეთ მას მკაცრე სამუშაო ანარეტი შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხარჯზე. კომისიის შემადგენლობაში, ალბათ, უნდა შევიდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც კურირებას უწევს აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად დარგებს, სოფლის, სატყეო, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების, სასოფლო მშენებლობის, კვების მრეწველობის მინისტრები, საქსახსოფლტექნიკის თავმჯდომარე, სამრეწველო გაერთიანებების „საქართველოს ჩაისა“ და „სამტრესტის“ უფროსები, საქმთავარწყალმშენის უფროსი და ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი;

მეოთხე. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის კვალიფიციური გადაწყვეტისათვის დროა შევიმუშაოთ სპეციალური კომპლექსური მიზნობრივი პროგრამა, რომლის შედგენასაც უნდა უხელმძღვანელოს ჩვენმა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა.

მთელი ეს მუშაობა უფრო გაბედულად, ენერგიულად და მტკიცედ უნდა წარვმართოთ.

ჩვენი ამოცანაა — მარკვედ გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები. უმჯობესია, სწორედ ადგილზევე გავითვალისწინოთ მოცემული ზონის კლიმატური და სხვაგვარი თავისებურებანი, სწორად შევარჩიოთ კულტურები.

გავიხსენოთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თვით სიტყვა „ექსპერიმენტი“ მუშაკთა გარკვეულ ნაწილში უნდობლობის გრძნობას ბადებდა. ახლა კი ჩვენს ექსპერიმენტებს, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ყურადღებით აკვირდებიან ქვეყანაში, და მან მოგვიწოდა სრულვყოთ და განვავითაროთ ეს საქმე. ეს დიდი ნდობა და დიდი პასუხისმგებლობაა.

ექსპერიმენტების განსაკუთრებული მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, ის არის, რომ მათი მიზანია, ტერიტორიული თვალსაზრისით ეკონომიკის სხვადასხვა რგოლის მართვის სრულყოფა.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მართვის რეგიონალური ფორმების ინტენსიური განვითარება ეყრდნობა ადგილობრივი პარტიული ორგანოების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებას, მათი აუტორიტეტის, საქმიანი კომპეტენტურობის ზრდას. ახლა ამოცანა ის არის, რომ გამოვნახოთ მართვისა და დაგეგმვის დარგობრივი და რეგიონალური ფორმების ოპტიმალური შეხამების ყველაზე ეფექტიანი გზები, მექანიზმი და მეთოდები.

ახლა ვაპირებთ ფოთში მოვაწყოთ ამ რეგიონში მთელი სახალხო მეურნეობის კომპლექსური მართვის ექსპერიმენტი. მისი ძირითადი მიზანია, რომ დაგეგმვისა და მართვის საკითხების გადაწყვეტის დროს უზრუნველყოს ტერიტორიულ-რეგიონალური და დარგობრივი ინტერესების ყველაზე მიზანშეწონილი, ოპტიმალური შეხამება.

ამ დროს, ცხადია, წინა პლანზე დგება საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანები. ექსპერიმენტის პროცესში შევეცდებით გამოვნახოთ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ობიექტურად დამახასიათებელია მართვის ცენტრალიზაციისათვის. ჩვენ ისე ვიმოქმედებთ, რომ ხელი კი არ შევუშალოთ, პირიქით, წვალბილოთ ადგილობრივი ინიციატივა.

მართვის ტერი

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში საგამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ებში რომ არის დასახული. ეს წინადადებები ეხება ...ეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს სრულ...ფას, წარმოების ინტენსიფიკაციის არსებული რე...ერვების გამოყენების, სასურსათო პროგრამის შემუ...ებისა და რეალიზაციის, მომჭირნეობის, ყაირათია...ების და სხვა საკითხებს.

...ნშვნელოვანი ადგილი დაეთმო იდეოლოგიური და ...ზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, მორა...ურ-ფსიქოლოგიური ვითარების შემდგომი გაჯანსა...ების ამოცანებს, კადრებთან მუშაობას, შინაპარტიუ...ი დემოკრატიის, ინიციატივის ყოველმხრივ განვითა...ებას და სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებს.

...საგულისხმო წინადადებები შემოიტანეს ცენტრა...ული კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდა...ებმა, სარეგიონო კომისიის წევრებმა, პარტიულმა ...ა საბჭოთა მუშაკებმა, ჩვენმა მინისტრებმა და უწყე...ებათა, საწარმოთა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, ...წინავე მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციის ...ომამდგენლებმა.

...კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისაგან ...ემოვიდა 200-მდე ფრიად მნიშვნელოვანი წინადადე...ები, რომლებიც მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ...ამაღლებას ეხება. თითქმის ორი ათასმა სოფლის ახა...გაზრდა კომუნისტმა და კომკავშირელმა იკისრა გა...ზიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. ეს ძა...იან სასიხარულოა.

მიელი ეს უმდიდრესი მასალა მაქსიმალურად გა...ოვიყენეთ ჩვენი პლენუმის ძირითადი დოკუმენტე...ის მომზადებისას.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „პრავ...დას", როცა ამ ორი დღის წინათ მოწინავე სტატიაში ...ნშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთ წინასწარ აცნობებენ პარტიული კომიტეტების პლენუმები...ა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების დღის ...ესრგს, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ფრიად საგულის...ხმოა მასებთან უშუალოობის გაფართოების საქართ...ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრაქ...ტიკა.

...ოლექტიურობა და კოლეგიურობა გადაწყვეტილე...ების მომზადებაში კი არ გამორიცხავს, პირიქით გუ...ლისხმობს დიდ პირად პასუხისმგებლობას მისი განხო...ციელებისას. როგორც ჩანს, დღეს თითოეულმა ...ვენგანმა, ცენტრალური კომიტეტის მთელმა შემად...ენლობამ, რაც შეიძლება კონკრეტულად უნდა განსაზღვროს თავისი როლი ლ. ი. ბრეჟნევის რჩევათითოეულების შესრულებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი დღევანდელი პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. ვფიქრობ, თითოეულს უნდა ჰქონდეს მუშაობის პირადი, პერსონალური გეგმა, გაითვალისწინოს ამ გეგმაში ის საკითხებიც, რომლებიც დაკავშირებულია თბილისში ...ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების ძირითადი დებულებებ...ან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილ...ების მოთხოვნების განმარტებასთან, განსაზღვროს თავისი ადგილი მათს განხორციელებაში, თავის საუ...ბარ უბანზე მკაცრი პარტიული კონტროლის გაწევაში.

ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ლ. ი. ბრეჟნევისაგან, რომელმაც საქართველოში ყოფნის დროს მოგვცა მუშაობის რაციონალური სტილის თვალსაჩინო მაგალითი, შესანიშნავი გაკვეთილი. ლ. ი. ბრეჟნევის ...ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი ზედმიწევნით შემოწმებულია და აქვს მაქსიმალური სასარგებლო დატვირთვა. ისევ და ისევ გაოცებს მისი შრომის ორგანიზაციის უმაღლესი კულტურა და ფიქრობ რა ხშირად უქმად, უყაირათოდ ვხარჯავთ ხოლმე დროს. ყველა ჩვენგანი მტკიცედ უნდა დაეუფლოს იმ შესანიშნავ თვისებებს, რომლებიც ახასიათებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობის სტილს. ეს არის მუშაობის ლენინური სტილის ნიშანი და ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ მთელ ჩვენს პარტორგანიზაციაში — ცენტრალური კომიტეტით დაწყებული და პირველადი პარტიული ორგანიზაციებით დამთავრებული, საბჭოებში, პროფკავშირებში, კომკავშირში.

რამდენმე სიტყვა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ძირეულ რგოლებზე. ალბათ, ეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენუმის განხილვის საგანი გახდება. მაგრამ მინდა ახლანდელი პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მივაპყრო მთელ რიგ მომენტებს.

მაგალითად, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ პირველადი პარტორგანიზაციების აქტიურ ზემოქმედებას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დარგში სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა განხორციელებაზე. 138 საწარმოდან, რომლებიც დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე უნდა გადაგვყვანა, 21-მა ეს მოთხოვნა ვერ შეასრულა. ამის მიზეზებია ხელმძღვანელობის ინერტულობა, მოუქნელობა, დაუნტერეესებლობა. ამსთანავე პირველადი პარტორგანიზაციები სრულიად ჩამოშორდნენ ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს. **არადა, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დონე, არხებითად ხომ მისი პარტიული ორგანიზაციის სავიზიტო ბარათი, მისი სიმწიფის მაჩვენებელია.**

ამ მუშაობაში ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი სულ უფრო მეტად ხდება სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ყოველგვარ შრომას შემოქმედებად აქცევს. ითქვა, რომ უნდა წავახალისოთ ინიციატივა ადგილებზე, ეს კი ნიშნავს, რომ ყოველ სასარგებლო ინიციატივას საფუძველი უშუალოდ მშრომელთა სამუშაო ადგილებზე უნდა ეყრებოდეს. და აქაც გადამწყვეტი როლი, პროფკავშირებთან, კომკავშირთან ერთად, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

ავიღოთ თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა „ყოველი საწარმო — საუკეთესო უნდა იყოს რესპუბლიკაში, დარგში, ქვეყანაში!", რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, რომ რესპუბლიკამ თვალიოს ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით. ამ მიმართულებით ზუსტი პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა საკავშირო სამინისტროს დახმარებით გადაეწყვიტა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის პოზიციები და წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, ერთიორად დაეჩქარებინა წინათ დასახულთან შედარებით, შრომის ნაყოფიერებისა — 1,5-ჯერ, ხოლო შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით წარმოების მოცულობის მატება გაეზარდა 84 პროცენტამდე.

ფრიად სასიხარულოა, რომ ავიამშენებელთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ბატონიონისა" და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივებმა, რასაც მოწმობს პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

საქმისადმი ასეთი მიდგომა ახლა უაღრესად გვჭირდება. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ბევრი სხვა საწარმო, თითქოს რაღაცას მოელისო, არ უჭერს მხარს ამ საყურადღებო თაოსნობას, თუმცა ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ხანია მოიწონა ეს ინიციატივა. მისი გავრცელებისათვის მიზანმიმართულ მუშაობას არ ეწევიან ჩვენი სამინისტროები, პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტები, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიები რაიონებსა და ქალაქებში.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პარტიის პირველადს რგოლებს იმ მუშაობაშიც, რომ ყოველმხრივ გავაქტიუროთ ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, გადავაქციოთ იგი საზოგადოების საქმეთა მართვაში მასების მონაწილეობის ერთ-ერთ ფორმად. რაკი ვიცით, რომ ჩვენს **სახალხო მეურნეობას შემოხვევით არ ეწოდება სახალხო, ჩვენი ვალია ეფექტიანად საყოველთაო-სახალხო ბრძოლა გავაჩაღოთ დაუდევრობისა და უნიათობის წინააღმდეგ, სახალხო დოვლათისადმი აყირავთიანი დამოკიდებულებისათვის,** ყოველი სახელმწიფო კაპიკის გამოყენებისათვის, ჩავრაზოთ დანაკარგების ყველა არხი. პირველადმა პარტორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მშრომელთა გაერთიანების სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმას, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა დაუსახონ მიზნად მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებს, გაითვალისწინონ ეს ასპექტი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს. თუ არა ჩვენ, ვინ უნდა იზრუნოს ჩვენი საზოგადოებრივი დოვლათის, ჩვენი საზოგადოებრივი სიმდიდრისა და სიკეთის დაცვა-შენახვისათვის!

ყველა საკითხი, ყველა პრობლემა, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო თავის გამოსვლაში ჩვენი საიუბილეო ზეიმის დროს, ყველა მისი რჩევა, ყველა მითითება მიზნად გვისახავს კიდევ უფრო გავაღრმოოთ მუშაობა კადრებთან.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას აღინიშნა, რომ ჩვენ კარგი კადრები დაგვეზარდა, რომ შეძლეთ დაგვიძლია წინათ არსებული გადახვევები პარტიის საკადრო პოლიტიკისაგან, პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისაგან. სწორად არის მიჩნეული, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად აძლიერებს მომთხოვნელობას ხელმძღვანელი კადრებისადმი, განამტკიცებს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, უკომპრომისოდ ებრძვის სხვადასხვაგვარ ნეგატიურ გამოვლინებებს. როგორც ითქვა, **სკკპ ცენტრალურ კომიტეტში იციან და დიდად აფასებენ ჩვენს მუშაობას ამ მიმართულებით.**

დიახ, ბევრი რამ გვაქვს დადებითი საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში, და, როგორც ხედავთ, ეს ლ. ი. ბრეჟნევმაც შენიშნა და აღნიშნა. მაგრამ ამავე დროს ყველა მისი შენიშვნა, მთელი მისი კრიტიკა, რომელიც მან ჩვენი მისამართით გამოთქვა, უნდა მივიჩნიოთ, უწინარეს ყოვლისა, როგორც სერიოზული საყვედური ჩვენი კადრებისადმი. ბევრი ჩვენი ხელმძღვანელისადმი, მათ შორის, რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი. მართლაც ჩვენ ხშირად გვაკლია სახელმწიფო მიდგომა საქმისადმი, ჯერ კიდევ ნაკლებად მოგვთხოვს ხოლმე ადამიანებს, ხოლო, მეორე მხრივ, ჯერ-კიდევ არ ვახალისებთ მათ, ხშირად ვუშვებთ სხვადასხვაგვარ შეცდომებს.

უფრო კონკრეტულად და ღრმად უნდა მოვკიდოთ ხელი ხელმძღვანელი კადრების სრულფასოვანი რეზერვის შექმნას. ამ პრობლემას უშუალოდ ვუკავშირებთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის წარმატებით გადაწყვეტასაც, როგორიც არის კადრების დაწინაურება ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალეროვნულობის გათვალისწინებით. რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე ამ თვალსაზრისით მომხდარმა სერიოზულმა ძვრებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მაგრამ ამავე დროს მივიღეთ მითითება, რომ ეს გეზი კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით უნდა განვაგრძოთ პარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

უნდა გავზარდოთ მომკითხველობა ხელმძღვანელი კადრებისადმი და მათი პირადი პასუხისმგებლობა. კიდევ უფრო მტკიცედ უნდა გავაჩაღოთ უკომპრომისო ბრძოლა სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების, პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისაგან გადახვევების წინააღმდეგ.

იმას, თუ რა უდიდესი სიფხიზლეა საჭირო ამ საქმეში, მოწმობს ამას წინათ გამოვლენილი მექრთამეობისა და გამომძალველობის ფაქტები, რომლებშიც გარეული იყვნენ რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ანანიაშვილი და მშენებლობის მინისტრის ყოფილი მოადგილე ზაუტაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს არ აკლდათ ნდობა და ძალაუფლება, ისინი არ იყვნენ გულწრფელი პარტიისა და ხალხის წინაშე, დამნაშავენი აღმოჩნდნენ და თუმცა ძალზე გვწყინს და გული გვტკივა, რომ ნდობა არ გაამართლეს, ჩვენ არ მოვერიდეთ მათი ზნეობრივი თვალთმაქცობის გამოაშკარავებას. კვლავაც ვერ შევუფრიდებით ჩვენს რიგებში ადამიანებს, რომლებიც შრომელთა თვალში სახელს უტეხენ საზელმწიფო ხელისუფლებას, ფეხქვეშ თელავენ იმ ნათელ პრინციპებს, რომელთა ერთგულნი ვართ და რომლებსაც ბოლომდე განვახორციელებთ.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები მოწმობს, თუ რა ყურადღებით აღვიზებს თვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას. **„კვლავაც ნიადაგ უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ საქართველოში მორალური ატმოსფერო ისეთივე წმინდა იყოს, როგორიც თქვენებური მთის მაერია",** — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა. და ეს მთლიანად შეესაბამება ჩვენს მისწრაფებას, ჩვენს ამოცანებს.

უკანასკნელ ხანს ჩვენ არათუ არ შეგვინელებია ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პირიქით, ჩვენი აზრით, უფრო თანამიმდევრული, უფრო მიზანმიმართული, სისტემური ხასიათი მივანიჭეთ მას, ახლა პარტიული, სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სხვა ორგანოების მუშაობას უკეთ ვუთანხმებთ მთელი საზოგადოებრიობის მეცადინეობას. ამ მხრივ სანიმუშო იყო ამასწინანდელი იუბილე. ჩავუკვირდეთ ასეთ ფაქტს. მილიონიან თბილისში ოთხი დღის ზეიმის მანძილზე მხოლოდ სამი უმნიშვნელო სამართალდარღვევის შემთხვევა აღირიცხა. და უმთავრესად იმიტომ, რომ თვით ხალხმა არ მისცა გასაქანი ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს, არ ჩაეშხამებინა საყოველთაო დღესასწაული.

მიუხედავად ამისა ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ გვაქვს. კვლავ საჭიროროტო საკითხად რჩება ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პრობლემას მარტო სამართლებრივი კი არა, ფართო სოციალური ასპექტიც აქვს, იგი გავლენას ახდენს შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაზე, რომლებზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

სამწუხაროდ, ორგანიზატორულ-პარტიულ მუშაობაში ყოველთვის ვერ ვიყენებთ უნარიანად ისეთ დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტს, როგორიც საზოგადოებრივი აზრია. გავიხსენოთ, რა ინტერესი გამოიწვია ჩვენი პატორგანიზაციის ყრილობაზე წაკითხულმა ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანის თამარ ყუფუნიას წერილმა. მაშინ მას ყველა მქუხარე ტაშით შეხვდა. შემდეგ კი ამ დოკუმენტს ჯეროვნად არ გამოხმაურებიან არც პირველადი პარტიული ორგანიზაციები, არც პარტიული კომიტეტები, და, მგონი, არც თვით ზუგდიდის რაიონი. თამარ ყუფუნიას წერილი კი, რომელიც აღსავსე იყო გულწრფელი გრძნობებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ნამდვილი ზრუნვით, შეიძლებოდა შესანიშნავი საფუძველი გამხდარიყო დიდი აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

ხომ ცნობილია, რომ რესპუბლიკის შემდგომი დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი **ადამიანების მაღალი შეგნებაა.** სწორედ ეს მაღალი შეგნება იგულისხმებოდა, როცა ითქვა, რომ მუდამ უნდა იგრძნობოდეს **შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის მაცოცხლებელი იმპულსი.**

ახლა იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების მთელი დამრაზმველი ძალა, უწინარეს ყოვლისა, თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების განმარტებასა და შესწავლას უნდა მოვახმაროთ. ეს მუშაობა უნდა წარვმართოთ ყველა არხით, ყველა ხაზით, მას დავუქვემდებაროთ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემა. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ზეპირი პროპაგანდა და თვალსაჩინო აგიტაცია.

ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ყოველი მშრომელი, ყოველი ადამიანი განიმსჭვალოს შეგნებით: დიდი შეფასება, რომელიც საზეიმო ხხდომის ტრიბუნიდან გაისმა, — ეს არა მარტო მიღწეულ წარმატებათა აღიარებაა, არამედ იმისათვის მოწოდებაც არის, რომ ვამრავლოთ ისინი, ვიმუშაოთ დღეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ხომ გარდა იმისა, რომ ჯეროვანი შეფასება მისცა ჩვენი ხალხის თავდადებულ შრომას ამ ბედნიერ დროს, ბრძანა, **როგორ გავხადოთ ეს შრომა უფრო ეფექტიანი, უფრო ნაყოფიერი.**

სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ყოველი პუნქტის შესრულება, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა თავის თბილისის გამოსვლაში, უნდა **უზრუნველყოთ იდეოლოგიურად,** და ამ უზრუნველყოფას უაღრესად კონკრეტული, მიზანმიმართული ხასიათი უნდა ჰქონდეს. მთელ ამ მუშაობაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, ჩვენი წამყვანი გამოცემების — გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" მეთაურობით, სახტელერადიოსა და საქინფორმის კოლექტივებს, მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებს.

ახალი ადამიანის — კომუნიზმის ღირსეული მშენებლის ჩამოყალიბებისათვის, იდეური მრწამსის ჩანერგვისათვის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პროპაგანდისათვის მთელი ჩვენი მუშაობა ახლა ისე უნდა წარვმართოთ, რომ კიდევ უფრო მეტად დავამკვიდროთ საბჭოთა ცხოვრების წესი, განვავითაროთ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, განუხრელად დავიცვათ იდეურ-ხელობრივი ნორმები.

კვლავაც დაუცხრომლად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც ლენინდ ილიას ძემ გვიჩინა, კარგად იცნობდეს და განაგრძობდეს უფროს თაობათა, თავდადებულ მშრომელთა და სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ პატრიოტთა საუკეთესო ტრადიციებს.

იმ მითითების შესაბამისად, რომ **კვლავაც ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ ხალხთა ლენინური მეგობრობა და ძმობა,** რაც შეიძლება უფრო სრულად უნდა განვაზოგადოთ და განვავითაროთ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის უკვე შექმენილი გამოცდილება, ამასთან გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო მაღალია მასების ინტერნაციონალისტური შეგნების დონე, მით უფრო მნიშვნელოვანია მათი წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში.

ინტერნაციონალური აღზრდის სრულყოფაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი სოციალისტური ტრადიციები და წესჩვეულებანი, სახალხო დღესასწაულები, რომლებიც საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების სულ უფრო მეტ აღიარებას იმსახურებს. ალბათ დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის დღესასწაულის დროს გამოვლინდა, მაგრამ უკვე ახალ საფუძველზე და ახალი სახით, შესანიშნავი დღესასწაულის „თბილისობის", სხვა დღესასწაულების უაღრესად დამახასიათებელი ნიშნები — მათი სულისკვეთება, საერთო განწყობილება, მათი ნამდვილად ინტერნაციონალური ხასიათი, ადამიანთა მეგობრობისა და ძმობის ატმოსფერო.

საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მატიანე. ახლოდგება ამ მატიანის ყველაზე სახელოვანი ნიშანსვეტი: რუსეთთან საქართველოს დამოყვრების 200 წლის თავი.

ამ ტირსშესანიშნავ თარიღს რომ შეეხო, ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა შენიშნა: — **სწორი იყო ჩვენი წინაპრების არჩევანი ამ 200 წლის წინათ.** შესანიშნავი სიტყვებია. ჩინებულად არის ნათქვამი. დღეს ჩვენც საქვეყნოდ ვაცხადებთ: **უკეთეს არჩევანს ჩვენი წინაპრები ვერც მოახდენდნენ!**

რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამ, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სულ უფრო ღრმავდებოდა, სასიკეთო, გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე არ ბეჭდნენ და აპარატებდნენ უცხოელი დამპყრობნი, ხოლო ჩვენი წინაპრები, როგორც ხატოვნად ითქვა, **კავკასიონის ხალ კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ.** ძნელი იყო საქართველოს ისტორიული სვლებიდი, მაგრამ დიდი რუსეთის ხალხთან ურღვევი მეგობრობისა და მისი ძმური და უანგარო დახმარების წყალობით ჩვენმა წინაპრებმა დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს, როგორც აღინიშნა, **თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური ეროვნული კულტურა.**

ახლა ყველანი ვხედავთ, საქართველოში ექვსი სოციალისტური ათწლეულის მანძილზე როგორ გაიზარდა, როგორ განმტკიცდა რუსი და ქართველი ხალხების დამაკავშირებელი მეგობრული ურთიერთობა. სწორედ ეს არის, როგორც ლენინდ ილიას ძემ შენიშნა, სოციალიზმის ისტორიული მისია — დაახლოვოს და დამოყვაროს ხალხები, დაამკვიდროს მათ შორის სიამტკბილობა და მშვიდობა.

სახელოვან მე-200 წლის თავამდე ორი წელიღა დარჩა. მაგრამ უკვე ახლა ვემზადებით ეს ისტორიული თარიღი — ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა — აღვნიშნოთ როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო, ეროვნული და ინტერნაციონალური დღესასწაული. ამ კვირაში გაიმართება საქართველოს დღეები მოსკოვში. ამ დღეების უაღრესად მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მოწყობა ჩვენი ყველაზე უახლოესი ამოცანაა.

ლენინდ ილიას ძემ ძალზე დიდად შეაფასა საბჭოთა საქართველოს კულტურა და ხელოვნება, თანაც აღნიშნა, რომ ჩვენს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრეს მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა. ეს სიტყვები ბევრ რამეს გვაგალებს, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს შემოქმედ ინტელიგენციას.

ჩვენთვის პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი სამქმიანობის შესახებ, რომელმაც, როგორც მან თქვა, **კულტურის ოხტატებთან მუშაობაში სწორ ტონს მიაგნო, ეხმარება მათ, აქტიურად უწყობს ხელს შემოქმედებითს ძიებას,** რამაც, მისი თქმით, **თავისი როლი შეასრულა მხატვრული შემოქმედების საგრძნობ აღმავლობაში, რითაც აღინიშნა ბოლო წლები.**

მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების განმარტებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა, რომელსაც თბილისში საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას დიდი ყურადღება დაუთმო ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ეს ღრმა, ნათელი, შინაარსიანი სიტყვა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ახალ, ზუსტად დასაბუთებულ პერსპექტივებს სახავს. იგი გაისმა სერიოზული პოლიტიკური დიალოგისათვის, პლანეტის „ცხელ წერტილებში" დაძაბულობის ლიკვიდაციისათვის მოწოდებად.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო გამოხმაურება ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებზე თბილისში, მერე კი მოსკოვშიც, ცხადყოფს, რომ მოლაპარაკება ერთადერთი გონივრული გზაა, რომ ძალის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ფაქტორის გამოყენება თვითმკვლელობის ტოლფასია. აი ამიტომ, როგორც აღინიშნა, სამხედრო ძალის იმედით ყოფნა საღ აზრზე უარის თქმის პოლიტიკაა.

მილიონობით ადამიანი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მასობრივი მოძრაობა გაიშალა ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, იზიარებს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის იმ აზრს, რომ წონასწორობის, ძალთა ბალანსის პრინციპის დაცვის საფუძველზე ევროპის კონტინენტზე რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და თვით შემცირების, საკითხი მოლაპარაკების გზით შეიძლება გადაწყდეს და კიდევაც უნდა გადაწყდეს. ხალხები თავიანთი მთავრობებისაგან მოითხოვენ პოზიტიური პასუხი გასცენ სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებულ სამშვიდობო საბჭოთა ინიციატივებს და რაც შეიძლება მალე დაიწყონ მოლაპარაკება სსრ კავშირთან გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემებზე.

ფართო გამოხმაურება და მხურვალე მხარდაჭერა ჰოვა საბჭოთა კავშირის წინადადებამ სამართლიან და რეალისტურ საფუძველზე ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე. იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები საჯაროდ აცხადებენ, ჩვენი მიზანი სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევა არისო, ჩვენი ქვეყანა მტკიცედ და თანამიმდევრულად ესწრაფვის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების მიზეზით წარმოქმნილი საერთაშორისო ვითარების საშიში დაძაბულობის შენელებას, მხარს უჭერს თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემის გადაჭრას მოლაპარაკების გზით. ამას დამაჯერებლად ადასტურებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა თბილისში.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ XXVI ყრილობაზე წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები სულ უფრო აქტუალური ხდება იმის გამო, რომ აგრესიული იმპერიალისტური ძალების ჰეოლეტიკამ არსებითად გადაწყვიტა საერთაშორისო დაძაბულობა და გააძლიერა გამალებული შეიარაღება. სწორედ ამიტომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა თბილისში გამართულ ზეიმზე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპია, იგი მოუწოდებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს სერიოზული პოლიტიკური დიალოგისათვის ომისა და მშვიდობის ძირითად პრობლემებზე.

— ერთმანეთის დაშინებაზე დაფუძნებული მშვიდობა ჩვენ არ გვიზიდავს — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — **ჩვენ ვამჯობინებთ მშვიდობას, რომელის დროსაც შეიარაღების დონე სულ უფრო და უფრო კლებულობს, ხოლო ყველა დარგში თანამშრომლობის მასშტაბი და ხარისხი მაღულობს და იხვეწება.**

საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან კვლავ გაისმა, მოწოდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში საღ აზრს დაეყრდნონ, მოეშვან სამხედრო ძალით გატაცებას. დაე იმითთვის, ვინც პროვოკაციულად იწვევს საომარ კონფლიქტებს ახლო აღმოსავლეთში, ესე იგი იგი იოანონში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკისათვის და საერთოდ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, როგორც ეს აღინიშნა, მართლაც რომ ახლოა, სერიოზული გაფრთხილება იყოს ლენინდ ილიას ძის მიერ მოყვანილი რუსთაველის სიტყვები: „კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოპკვეს ვითა მთრვალი! დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი!".

რაც უფრო იქუფრება საერთაშორისო ჰორიზონტი, რაც უფრო შფოთიანი ხდება საერთაშორისო ვითარება, რომელსაც განზრახ ამძაფრებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და მისი ნატოელი დამქაშების მოქმედება, მით უფრო მეტი იმედითა და ყურადღებით ისმენენ ჩვენი ქვეყნის ხმას მსოფლიოს ხალხები, რომელთაც მშვიდობა სწყურიათ. ლენინური მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იღგწის მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, ახალი ომის წარმოქმნის საფრთხის კერების ლიკვიდაციისათვის. ეს დებულება კიდევ ერთხელ დადასტურდა თბილისში.

სსრ კავშირის მიერ კვლავ წამოყენებულ ღონისძიებათა კომპლექსის რეალიზაცია განამტკიცებს მშვიდობას და გააჯანსაღებს საერთაშორისო ვითარებას.

აღმშენებლობა და მშვიდობა განუყოფელად არიან დაკავშირებული ერთმანეთან. ჩვენი ბრწყინვალე გეგმების განსახორციელებლად ჰაერივით გვჭირდება მშვიდობა. 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამა რომ წამოაყენა, კომუნისტების პარტიამ მტკიცედ განიზრახა ყოველი ღონე იხმაროს, რათა **შეუნარჩუნოთ ჩვენს პლანეტას მოწმენდილი ზეცა, რათა ადამიანებმა იცხოვრონ სამართლიანობის სამყაროში, მშვიდობის სამყაროში, სამყაროში, სადაც ადამიანი იმედითა და რწმენით აღსავსე ეგებება თავისი ცხოვრების ხვალინდელ დღეს.**

პრობლემა: მშვიდობა თუ ომი კეთილი სურვილებით არ წყდება. **მშვიდობისათვის უნდა ვიბრძოლოთ, მშვიდობა ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ.** აი ამიტომ არის, რომ ჩვენს პარტიას და ჩვენს სახელმწიფოს დღენიადაგ ყურადღების ცენტრში აქვთ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, მისი შეიარაღებული ძალების განმტკიცების საკითხები.

საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის, ჩვენი დიადი სამშობლოს სამხრეთი საზღვრების უშიშროების სადარაჯოზე დგანან ამერიკაკვასიის წითელდროშოვანი სამხეკრო და ამერიკაკვასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების მეომრები. გაუჭრობეს მათი, ისევე როგორც სსრ კავშ

კვლევის ობიექტია საქართველოს უნიკალური კულტურა

ბორჯომი, 17 ივნისი (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს აქ დამთავრდა საქართველოს საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების მესამე ბორჯომის შეხვედრა, რომელმაც ორ დღეს გასტანა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების მდივნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ორი წლის წინათ გამართულმა რესპუბლიკის მეცნიერ ისტორიკოსთა პირველმა შეხვედრამ დასაბამი მისცა ყოველწლიური კრებების ტრადიციას, რომელთა მთავარი მიზანია ისტორიკოსთა ძალების კონსოლიდაცია პარტიის საპროგრამო მითითებათა შესასრულებლად, საისტორიო მეცნიერების ყველაზე აქტუალური მიმართულებებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია.

— წლევანდელი შეხვედრის ხასიათი, — თქვა პლენარული სხდომის განსნისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ფრანგიშვილმა, — განსაზღვრა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის შესანიშნავმა, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებმა — სკკპ XXVI ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლამ თბილისში და საიუბილეო ზეიმზე მისმა გამოსვლებმა.

საქართველოს სსრ მეცხიერებათა აკადემიის აკადემიკოსების გ. მელიქიშვილისა და შ. ძიძიგურის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ძიძარიას, პროფესორების დ. ხახუტაიშვილის, ბ. ტეხოვის, ლ. სტურუას, დოცენტ ნ. ასათიანის მოხსენებები შეიცავდა თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის ინსტიტუტებში განვლილი წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო კვლევის ანგარიშებს, განსაზღვრული იყო ისტორიკოსთა ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ განვლილ წელს ქართველმა ისტორიკოსებმა შექმნეს ათობით ნაშრომი, მონოგრაფია, გამოკვლევა, უწინარეს ყოვლისა, იმ საკითხებზე, რომლებიც წინა შეხვედრის დროს დაისახა. ამ ხნის მანძილზე გამოვიდა წიგნები: ა. ლეჟავსი — „ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ისტორიიდან", ა. სურგულაძის — „ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები", კოლექტიური მონოგრაფია „საბჭოთა საქართველო" 60 წლის მანძილზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ, ნარკვევების კრებული „ოქტომბრისათვის ბრძოლა აფხაზეთში", აჭარის არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორისტიკაში, დიალექტოლოგიაში, სოციოლოგიასა და ეკონომიკაში ნაშრომების კრებულები, ლ. ჩიბოროვის გამოკვლევა „კავკასიის პეროიდული პრესა ოსეთისა და ოსების შესახებ", და სხვა, გრძელდება მუშობა მთელ რიგ ფუნდამენტურ გამოკვლევებზე.

პლენარულ და სექციების სხდომებზე დიდი ყურადღება დაეთმო, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური" ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს, რომლებსაც პირველად განიხილავდნენ ბორჯომის შეხვედრებზე. ამ თემას, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს, უძღვნეს თავიანთი მოხსენებები პროფესორმა ო. ჯიოევმა — „ეულტურის ფილოსოფია და კულტურის ისტორია", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ — „კულტურის ისტორიის კვლევის საკითხები", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ც. კალანდაძემ — „1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რუსეთ-საქართველოს, კულტურული კავშირურთიერთობის ისტორიისათვის", და შემთხვევითი არ არის, რომ ისტორიკოსთა თათბირმა მიიღო რეკომენდაცია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ქართული კულტურის ისტორიის საპრობლემო სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს შექმნის თაობაზე. ამ საინტერესო და ვრცელი პროგრამის შემუშავება ხომ მოითხოვს ისტორიის მეცნიერებასთან მეცნიერების სხვა დარგების — ხელოვნებისმცოდნეობის, ლიტერატურისმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, ეკონომიკის — კოოპერაციას. ბორჯომის შეხვედრაზე ამ მეცნიერებათა წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ისტორიკოსთა თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეცნიერულ გამოკვლევებს უნდა მივანიჭოთ მეტი კონკრეტულობა, მასშტაბურობა, მიზანმიმართულება, გავაძლიეროთ მათი საზოგადოებრივი ეფექტურობა, საისტორიო მეცნიერებას ხომ შეუძლია პასუხი გასცეს თანამედროვეთათვის საინტერესო მრავალ საკითხს.

შეხვედრის მონაწილეებმა მოიწონეს სექციების სხდომებზე შემუშავებული რეკომენდაციები. სექციების მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს სექციების ხელმძღვანელებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა მ. დუმბაძემ, ა. აფაქიძემ, პროფესორებმა ი. კაჭარავამ, ა. რობაქიძემ, დ. სტურუამ.

ბორჯომის შეხვედრამ გვიჩვენა, რომ განვლილ წელს შესამჩნევი ნაბიჯი გადაიდგა ქართველი, აფხაზი და ოსი ისტორიკოსების ერთობლივი კვლევის გაღრმავება-განვითარების გზაზე.

მეცნიერი ისტორიკოსთა შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

(საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკლესიასა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვეტყობინებენ



18 ივნისი

● ერაყი

ი. არაფატის ვიზიტი

ბაღდადი. აქ ვიზიტად ჩამოვიდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე იასერ არაფატი.

ნინას საგენტოს კორესპონდენტისადმი გაცხადებაში მან თქვა, რომ ვიზიტის მსვლელობაში ერაყის ხელმძღვანელებთან განიხილავს სრულიად არაბეთის სტრატეგიის საკითხებს, ასევე, ომის შედეგად მიღებული ზიანის აღმოფხვრის საკითხებს.

● ნორვეგია

დევნიან სიმართლისათვის

ოსლო. ოსლოს საქალაქო სასამართლომ 6 თვის პირობითი პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმა მიუსაჯა ნორვეგიელ მეცნიერს ნილს პეტერ გლედიჩსა და მშვიდობის პრობლემათა კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის თანამშრომელს ოუენ ულლეხს. მათ ბრალად დასდეს ნორვეგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რადიოელექტრონული ჯაშუშობის სადგურის გამოყენების შესახებ გონსენების გამოქვეყნება. ნაშრომში, რომელიც მომზადებულია არასაიდუმლო წყაროების საფუძველზე, მოყვანილია ფაქტები, რომ ნორვეგიის ტერიტორიაზე, უმთავრესად მის ჩრდილოეთ ნაწილში, სსრ კავშირის საზღვართან განლაგებულია სპეციალური საჯაშუშო სადგურების ქსელი, რომლებიც დღედაღამ უთვალთვალებენ საბჭოთა თვითმფრინავების ფრენას, ზომალდების მიმოსვლას.

ათასამდე ნორვეგიელმა — მეცნიერებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა ხელი მოაწერეს მიმართვას, რომელშიც მოითხოვენ ბოლო მოეღოს გლედიჩისა და უოლკესის დევნას.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ყოველი დილა იტალიის ქალაქ ნეაპოლში ერთნაირად იწყება: ქუჩებში თავს იყრიან დემონსტრანტები. ათასობით უმუშევარი იკრიბება ქალაქის სხვადასხვა რაიონში, რათა მოთხოვონ ხელისუფლებას, უზრუნველყოს მათთვის საარსებო წყაროს შოვნის პირობები (სურათზე).

ამ ქალაქში უმუშევრობა და ხელმოკლეობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა შარშან ნოემბერში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ. მთავრობა კი არავითარ ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებს ნეაპოლელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

საკლესისა ფოტო.

● საფრანგეთი

უშედეგო სესია

პარიზი. უშედეგოდ დამთავრდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სესია. მასში მონაწილე 24 ქვეყანა-კაპიტალისტური ქვეყნის საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებმა მწვავე უთანხმოებათა გამო ვერ შეიმუშავეს რაიმე ერთობლივი პლატფორმა ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად.

სესიაზე გამოსულმა საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრმა კ. შეისონმა და ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ჟ. დელორმა გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების საგალუტო-საფინანსო პოლიტიკა, რომელიც დიდ ზარალს აყენებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. „ამერიკის შეერთებული შტატები განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა", — ასეთი დასკვნა გამოაქვს ფრანს პრესის საგენტოს და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პოზიციას ამა თუ იმ ფორმით მხარი დაუჭირეს იტალიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ბელგიამ, აგრეთვე სკანდინავიის ქვეყნებმა.

● ირანი

ირანის პარლამენტში

თეირანი. ირანის პარლამენტში დაიწყო პრეზიდენტ ბანისადრის „პოლიტიკური კომპეტენტურობისა" და იმ საკითხის განხილვა, თუ რამდენად შეეფერება იგი პოსტს, რომელიც უკავია. განხილვის დაწყება დაყოვნდა იმის გამო, რომ კვორუმი არ შედგა, რამდენადაც ბანისადრის მომხრეებმა კენჭისყრის მოწყობისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტის სხდომას. კვორუმი უზრუნველყოფილი იქნა მას შემდეგ, რაც ისლამური რესპუბლიკური პარტიის მოხრეებმა, რომლებიც ხელისუფლებისაგან ბანისადრის ჩამოშორების კამპანიის ინიციატორები არიან, კვორუმის შესავსებად მოიყვანეს სხდომის დარბაზში მთავრობის მომხრე დეპუტატები. პირველ სხდომაზე განიხილეს ძირითადად საპროცედურო საკითხები. კერძოდ, მიიღეს გადაწყვეტილება კამათის დამთავრების შემდეგ ორივე მხარეს მისცეს ათ-ათი საათი თავიანთი თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად.

კრესპ ადასტურებს საიდუმლო გარიგებანი

პარიზი. აქაური ჟურნალი „ფიგა-ჟაზ", წერს, რომ შარმა-შეიხში ეგვიპტის პრეზიდენტის სადათისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინის ამასწინანდელი შეხვედრის დროს დაიდო მთელი რიგი საიდუმლო გარიგებანი. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ითვალისწინებს ძვლისას ბოლომდე ისრაელის დაზვერვის იმ აგენტების რიცხვის გაზრდას, რომლებსაც ნება ეძლევათ მოიკალათონ ეგვიპტეში. ამიერიდან მათ შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ ეგვიპტის ბევრ ქალაქში, მათ შორის ალექსანდრიაში, ასუანში, ასიუტეში, მერსა-მათრუჰში.

ბუნების ჰირვეულობა

დიდი სიცხე პორტუგალიაში

ლისაბონი. მძიმე შედეგები მოსდევს უჩვეულო სიცხეს პორტუგალიაში. უკვე რამდენიმე დღეა თერმომეტრის სვეტი 38-44 გრადუსს შორის მერყეობს. მარტო დედაქალაქში დაიღუპა 27 კაცი ორგანიზმის გადახურებისა და გაუწყლოების გამო. უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში პორტუგალიას არ ახსოვს ასეთი სიცხე, რომელიც გამოიწვია აფრიკის სანაპირის უდაბნოდან მაურის ცხელი ნაკადის მოდინებამ.

ქვეყნის ტერიტორიაზე მძვინვარებს ტყის ხანძრები. პორტუგალიის დედაქალაქს დასავლეთით მან, მაგალითად, 80 კვადრატული კილომეტრი ტყის მასივი მოიცვა.

ერიჭაკა!

მარათონული... ცეკვის რეკორდი

ცეკვის რეკორდებს, ისევე როგორც სპორტულს, დიდი დღე არ უწერია. სულ ერთი წლის გასმავლობაში „შეიხარჩუნა „მსოფლიო ჩემპიონის" წოდება მარათონულ ცეკვაში ამერიკელმა ჯორჯ ტომპსონმა: იგი ცეკვავდა 342 საათს. ამას წინათ ინგლისელმა ქალიშვილებმა ბაბს სპაირმა და ბრიჯიტ პოუმ „დისკოს" სტილით იცეკვეს 349 საათი. ამ მიღწევას გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ.

ორკვირიანი მარათონის განმავლობაში მონაწილეებს ეძლეოდათ ყოველ ერთ საათში ხუთწუთიანი შესვენება და ყოველ 6 საათში ხანმოკლე შესვენება თვალის მოსატუბებლად. „ყველაზე მეტად, — განუცხადა ჟურნალისტებს 27 წლის სპაირმა, — უძილობა გაგვიჭირდა".

. ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

სავარაუდო თარიღები

ბუენოს საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ა. ჭკუასელმა გვაცნობა, რომ თბილისის „დინამოსა" და საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ იმსჯელა ფეხბურთში სუპერთასზე მატჩების ვადების შესახებ. შეთანხმდნენ, რომ თბილისის „დინამოს" მეტოქეს „ლივერპულს" შესთავაზონ ამ შეხვედრათა შემდეგი სავარაუდო ვადები: 19 აგვისტო და 9 სექტემბერი. თუ „ლივერპულს" ხელმძღვანელობა დაეთანხმება აღნიშნულ წინადადებას, მაშინ მოეწყობა წილისყრა იმის თაობაზე, თუ სად გაიმართოს პირველი შეხვედრა და სად მეორე.

ალპინისტები მთაში მიდიან

სასიმაღლო-ტექნიკური კლასის ალპინიზმში სსრ კავშირის 1979 წლის ჩემპიონები — ქართველი მთამსვლელები გივი ქართველიშვილი ხელმძღვანელობით ქვეყნის პირველობისათვის მზადების ფარგლებში ყაზბეგის რაიონში გაემგზავრნენ. ექსპედიციის შემადგენლობაშია 25 კაცი. ისინი ჯაუხების რაიონში მოწყობენ თორმეტდღიან საწვრთნელ შეკრებას. თვის დამლევს ექსპედიცია ბანაკს გაშლის ღალბუზის რაიონში, სადაც მზადებას შეუდგება საკონკურსო ასვლებისათვის. რვაკაციანი მოიერიგნე ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა დადგინდება ივლისის დამდეგს. იგი მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ჩემპიონატში (ტექნიკურ კლასში) და ავა 4630 მეტრი სიმაღლის კუკურთლუს (ჩრდილოეთი კავკასია) მწვერვალზე დასავლეთის კედლით.

ქართველმა მთამსვლელებმა სპორტული სეზონი მაისში დაიწყეს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ავსტრიის ალპინისტებთან ერთად ისინი ყაზბეგზე ასვლაში მონაწილეობდნენ.

აგვისტოში ოცი კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ო. ხაზარაძის ხელმძღვანელობით პამირის მთებში რუსეთის პიკის (6870 მ) დაპყრობას შეეცდება.

ქართველ ალპინისტთა ცხოვრებაში ყველაზე დიდი მოვლენა იქნება კაკი ხერგიანის მონაწილეობა 1982 წელს პლანეტის უმაღლეს მწვერვალზე — ევერესტზე (8848 მ) ასვლაში. იგი კვლავ მიიწვიეს პირველი საბჭოთა ჰიმალაის ექსპედიციის შეკრებაზე. მოიერიგნე ჯგუფის საბოლოო შემადგენლობა ცნობილი გახდება შემოდგომაზე.

(საქინფორმი).

სატურნირო ორგიჭა

თანამედროვე ხუთჭიდი. შვეიცარიის ქალაქ უფსალაში დამთავრებულ საერთაშორისო ასპარეზობაში ყველას აჯობა დუშანბელმა ა. სტაროსტინმა. მან 5630 ქულა დაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა. ი. ბარტუმ (ჩეხოსლოვაკია) — 5555, მესამე — ვ. ბურზუმ (საფრანგეთი) — 5447 ქულა.

აფრისნობა. ტალინში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება. „ვარსკვლავის" კლასის ინტებით შეჯიბრებაში თბილისელმა გ. ბიგანიშვილმა მეორე ხაპრიზო ადგილი დაიკავა. მას ბოლო რბოლაში გაუსწრო სამგზის ოლიმპიოტმა ჩემპიონმა კიეველმა ვ. მანკინმა.

ჰავრიკი. ბუდაპეშტში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობს ბულგარეთის წარმომადგენელი ლემაჩკო, მას 3,5 ქულა აქვს.

ფეხბურთი. გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ევროპის პირველ ჯგუფში ითამაშეს ავსტრიელებმა და ფინელებმა. გაიმარჯვეს ავსტრიელებმა — 5:1 და ამ ჯგუფში ისინი ლიდერობენ — 10 ქულა (6 შეხვედრიდან). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს 4 თამაშიდან 8 ქულა აქვს. ევროპის მეოთხე ჯგუფში ნორვეგიელებისა და შვეიცარიელების შეხვედრა გაიმართა, რომელიც ფრედ — 1:1 დამთავრდა. აქ 7 ქულით ლიდერობენ ინგლისელები (6 მატჩიდან). რუმინელებს 6 ქულა აქვთ (5-დან).

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი ეკვსგვერდიანია.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
20 ივნისს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა



თბილისის „დინამო" — დონეცკის „შახტიორი"

დასაწყისი 20 საათსა და 30 წუთზე



ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

□ 22 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.) 10.05 — „მოამბე", 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „ზღაპარი იწყება", 17.30 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.00 — განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ", 18.45 — „შინმოუსვლელი" — საგელევიზიო ჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — „ბარშალი აარნილ გელოვანი", 21.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.35 — „გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „კეთილმან სძლია", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ლიგერატურული გადაცემა „იქ, სადაც სხვები ქვებს დაემბავსნენ", 23.15 — „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.10 — ქართული საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ცაბუნია" 18.55 — განცხადებები, 19.00 — დოკუმენტური ფილმი „დიდი სამამულო" — „უცნობი ჯარისკაცი".

□ 23 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05—„მოამბე", 10.35— „ჩვენს დიდ სამშობლოში" — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვინ მინდა გავიდე", 11.20 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „დაშნა". პირველი სერია, 12.30 — კონცერტი, 13.00 — ამიდურიენტებისათვის — ქართული ენა, 17.00 — ბავშვებისათვის — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბავშვობა", 17.30 — შვეიწარეული ინგლისური ენა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „მეშვიდე გაკვეთილი", 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ტყის ზღაპარი", 19.15 — „ბუდამ ზალუთან ერთად", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 21.30—ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰობოი", 22.00—„ვრემია" (მ.), 22.35— „სპორტული კალეიდოსკოპი", 23.25— „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 18.55 — მხატვრული ფილმი „ორმოცი წლის მამაკაცის რომანი".

□ 24 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — დოკუმენტური ფილმი „ერთი საათი კოშინსკეგთან", 11.55 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „დაშნა". მეორე სერია, 13.05 — გეოგრაფიის მათემატიკაში, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები „გოგონა და ლომი", „თეთრი აქლემი", 17.30 — განცხადებები, 17.35 — გადაცემა „გზა კეთილი, საშვილიშვილო", 18.05 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი", 18.30 — „ზუნი სულისა", 18.50 — მუსიკალური შესვენება, 18.55 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო" — ერევნის „არარატი", რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე", 21.15 — სტუდიაშია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. გ. გეგეჭაძე, 21.30 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შესხეთი — მშობლიური მხარე", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ფანჯარა სამყაროში" — საგელევიზიო ალმანახი, 23.10 — საესტრადო სიმღერის საგელევიზიო ფესტივალი — „შენ გიმღერ, ჩემო სამშობლოვ!", გადაცემა მერვე, 23.45 — „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.55 — განცხადებები, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიპლომატები უნებლიეთ".

□ 25 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბიბიგონი", 18.30 — „ახალგაზრდა შემოქმედთა საგელევიზიო კლუბი" — შეხვედრა უკრაინის მიწაზე", 19.15 — საერთაშორისო მაგრი მძლეოსნობაში — სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.) 20.00 — „მოამბე", 20.30 — მხატვრული ფილმი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სიმღერისა და ცეკვის საფეხმეწიფო ანსამბლის კონცერტი. 23.40 — „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — მხატვრული ფილმი „სკოლის დირექტორის დღიური".

□ 27 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „გერი", 11.15 — „გამომგონებლისა და რაციონალიზაგორის საკავშირო დღე", 11.30 — შვეიწარეული ქართული ენა, 12.00 — მოსწავლეთათვის — „წიგნი — ჩემი მეგობარი", 12.50 — დოკუმენტური ფილმი, 13.20 — „თბილისი და თბილისელები", 14.00 — „ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით", 15.15 — „პოეზიის ხუთი წუთი", 15.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.05 — „ხუთწლედი. წელი პირველი", 16.55 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 17.55 — საერთაშორისო მაგრი მძლეოსნობაში — სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, 18.25 — „მუსიკალური ფესტა", 19.10 — „პოეზიის ხუთი წუთი", 19.15 — „მეცხრე სტუდია" (მ.), 20.15 — „მოამბე", 20.45 — „სიმღერით ცხოვრებაში" — საესტრადო გადაცემა, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ვერნისაჟი". ზურაბ ნიკურაძე. 23.35 — კინოროგრამა, 00.10 — ძველებური რუსული რომანსები საქართველოს სახალხო არტისტის ნანა ბრეგვაძის შესრულებით (მ.).

□ 28 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ექიმი თუნელელ", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „ბალეტარა" (მ.), 11.00 — „სამეურნეო მეანქანაზმი — სიანსლენი, პრობლემები", (გამეორებით), 11.45 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარჯიში", 12.00 — „ჯანმრთელობა" — საბჭონიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — შვეიწარეული რუსული ენა, 13.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „ხელმარჯვე ოსტატი — ფულადვილი", 13.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაშია დოცენტი რ. ეთუქაშვილი), 14.00 — გადაცემა „ქართული სამშენებლო მეცნიერების პატრიარქი" — კ. ზავრიევი (გამეორებით), 14.55 — „ვესტგიციი", 15.25 — „კინოფაქტა", 15.50 — „ბუნების კარი", 16.35 — „საესტრადო პანორამა", 17.10 — „ილუზიონი", 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — „ახალგაზრდობა" — საგელევიზიო პროგრამა, 22.55 — „მოამბე", 21.25 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.), 23.05 — გიორგი შაგბერაშვილის საიუბილეო საღამოს რეპორტაჟი.



რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი ქვირის პროგრამა

□ 22 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 08.15 — „ეიცის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.15 — „რას მოგვითხრობ, ბარათო". რადიონარკვევი, 11.40 — მუუბუქი საორკესტრო პიესები, 12.30 — კონცერტი, 13.00 — ამიდურიენტებისათვის — ქართული ენა, 17.00 — ბავშვებისათვის — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბავშვობა", 17.30 — შვეიწარეული ინგლისური ენა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „მეშვიდე გაკვეთილი", 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ტყის ზღაპარი", 19.15 — „ბუდამ ზალუთან ერთად", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — „ნამდვილად საბალხო" — საბჭოთა საქართველოს მილიციის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო „გზა კეთილი, საშვილიშვილო", 18.05 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი", 18.30 — „ზუნი სულისა", 18.50 — მუსიკალური შესვენება, 18.55 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო" — ერევნის „არარატი", რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე", 21.15 — სტუდიაშია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. გ. გეგეჭაძე, 21.30 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შესხეთი — მშობლიური მხარე", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ფანჯარა სამყაროში" — საგელევიზიო ალმანახი, 23.10 — საესტრადო სიმღერის საგელევიზიო ფესტივალი — „შენ გიმღერ, ჩემო სამშობლოვ!", გადაცემა მერვე, 23.45 — „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.55 — განცხადებები, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიპლომატები უნებლიეთ".

□ 25 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბიბიგონი", 18.30 — „ახალგაზრდა შემოქმედთა საგელევიზიო კლუბი" — „შეხვედრა უკრაინის მიწაზე", 19.15 — საერთაშორისო მაგრი მძლეოსნობაში — სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.) 20.00 — „მოამბე", 20.30 — მხატვრული ფილმი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სიმღერისა და ცეკვის საფეხმეწიფო ანსამბლის კონცერტი. 23.40 — „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — მხატვრული ფილმი „სკოლის დირექტორის დღიური".

□ 27 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „გერი", 11.15 — „გამომგონებლისა და რაციონალიზაგორის საკავშირო დღე", 11.30 — შვეიწარეული ქართული ენა, 12.00 — მოსწავლეთათვის — „წიგნი — ჩემი მეგობარი", 12.50 — დოკუმენტური ფილმი, 13.20 — „თბილისი და თბილისელები", 14.00 — „ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით", 15.15 — „პოეზიის ხუთი წუთი", 15.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.05 — „ხუთწლედი. წელი პირველი", 16.55 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 17.55 — საერთაშორისო მაგრი მძლეოსნობაში — სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, 18.25 — „მუსიკალური ფესტა", 19.10 — „პოეზიის ხუთი წუთი", 19.15 — „მეცხრე სტუდია" (მ.), 20.15 — „მოამბე", 20.45 — „სიმღერით ცხოვრებაში" — საესტრადო გადაცემა, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ვერნისაჟი". ზურაბ ნიკურაძე. 23.35 — კინოროგრამა, 00.10 — ძველებური რუსული რომანსები საქართველოს სახალხო არტისტის ნანა ბრეგვაძის შესრულებით (მ.).

□ 28 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „